ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 21 ᲛᲐᲠᲢᲘ 1926 Წ.

ᲬᲔᲚᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲥᲕᲔ

ᲤᲐᲡᲘ 3

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ

60 (1055) | 1 და 2 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲡᲠ. ᲓᲘᲕ. ᲞᲝᲚᲘᲢ-ᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ 5 ᲬᲔᲚᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲚᲝᲗ-ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲔᲑᲘᲐ.

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ, ᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ!

ᲐᲛᲮ. ᲐᲛᲮ. ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲗᲝ, ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲗᲝ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲛᲘᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲗᲝ, ᲐᲛᲐᲧᲐᲓ ᲒᲔᲛᲘᲠᲝᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ—ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ!

Ხ. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ.

Ჭ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. № 145. 19 მარტი 1926 წ.

დღეს სრულდება ხუთი წელი მას შემდეგ, რაც რომ საფუძველი ჩაეყარა ქართულ წითელი არმიის ნაწილებს,რომლებიც 1921 წელში გადაკეთებულ იქნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ეროვნულ ნაწილებად, რომლებიც შექმნილ იქნა აჯანყებულ ქართულ რაზმებისა და მენშევიკური სახალხო არმიისაგან და რომლებიც იარაღით ხელში გამოვიდენ საქართველოსა და უცხოელ თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, ეს ნაწილები ხუთი წლის განმავლობაში, მუშურ-გლეხური წითელი არმიის დანარჩენ ჯარებთან ერთად იცავდენ რევოლიუციის მონაპოვარსა და ქართველი ხალხის მშვიდობიან შრომას,ამტკიცებდა რა იმავ დროს თავის საბრძოლო ძალიერებას.

1924 წელს, მენშევიკებისა და თავად-აზნაურების კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების დღეებში, ქართულ ეროვნულ ნაწილებმა ეს გამოსვლები ძირშივე ჩაახშვეს და ამით დაამტკიცეს, რომ ისინი საბჭოთა კავშირის ერთგული დამცველები არიან საქართველოში, დამცველი ქართველი მუშებისა გლეხების ფართო მასებისა.

მშრომელებთან კავშირის განმტკიცება, მათი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების საქმეში ფართედ ჩაბმა, ფართე სამხედრო და კულტურული პროპაგანდა მთელ მოსახლეობის შორის, მთელ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან მტკიცე კავშირის შექმნა და მისი გაძლიერება, გაღრმავებული მუშაობა მერიგე და უფროსმადგენლობის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საქმეში, მაზანშეწონილი გამოყენება მატერიალურ რესურსებისა სამხედრო ტეხნიკის ყოველმხრივ ამაღლების საქმეში, რევოლიუციონური, შეგნებული დისციპლინის შთანერგვა წითელ არმიელებსა და მეთაურებს შორის,—აი ამოცანები, რომლებიც სდგას ქართული ნაწილების წინაშე მათი არსებობის მე-6 წელში.

უძღვნის რა ძმურ სალამს წითელი არმიის ქართულ სამხედრო ნაწილებს მისი სახელოვან არსებობის ხუთი წლის თავის გამო, სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების რევოლიუციონური სამხედრო საბჭო დარწმუნებულია, რომ ყველა ზემოაღნიშნული ასრულებული იქნება მათ მიერ ისე წარმატებით, როგორც დღემდის ასრულებდენ ისინი თავიანთ მოვალეობას კავშირის შრომელთა წინაშე.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ქართულ ნაწილებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა მტკიცე გაერთიანებას!

სსრკ-ს რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს

თავმჯდომარე ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ.

ᲐᲛᲮ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲮ. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔᲡᲐᲓᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

„ᲐᲛᲮ. ᲡᲔᲠᲒᲝ! ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲧᲠᲚᲘᲡᲑᲐᲖᲔᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲛᲜᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲡᲐᲫᲛᲘᲗ.

ᲣᲙᲐᲜᲓᲣᲠᲔᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲗᲣ ᲠᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲐ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, ᲗᲣᲜᲓᲪᲐᲓ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ: ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲘᲥᲛᲜᲐᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲡᲘᲡ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲪ ᲛᲝᲬᲧᲓᲔᲑᲚᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲡᲐᲫᲛᲘᲗ. ᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲐᲢᲝᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲔᲑᲖᲔ. ᲛᲔ ᲓᲐᲕᲯᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐᲐᲠᲯᲗᲘ.

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘ“.

ᲐᲛᲮ. ᲣᲜᲨᲚᲘᲰᲢᲘᲡ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ ᲓᲔᲙᲐᲓᲔᲨᲐ

Ჯ. Წ. Დ. Ა. ᲠᲔᲕ. ᲡᲐᲛᲮ. ᲡᲐᲑ. **ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔᲡ.**

ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲛᲡᲮᲣᲠᲘ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲨᲘ, ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲩᲐᲣᲤᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ; ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲓᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ **5** ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ.

ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲣᲫᲕᲜᲘᲡ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲔᲛᲠᲗᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲨᲔᲛᲬᲘᲓᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ!

ᲣᲜᲨᲚᲘᲰᲢᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘᲕᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲰᲓᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ, ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ თავის ᲬᲘᲜᲔᲗ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ—საქართველოს ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ. ᲐᲛᲘᲗ ᲛᲐᲜ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ.

ᲐᲛᲘᲗ ᲛᲐᲜ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ,ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ, მან ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲓᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲜᲔᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲐᲮᲕᲔᲓᲠᲔ ᲠᲐ ᲛᲐᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲚᲔᲚᲘᲗ—„ᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲣᲚᲘ“ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.



ᲐᲛᲮ. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ.

1924 ᲬᲚᲘᲡ 29 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ-ᲞᲘᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲜᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲗᲔᲗᲠᲗᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲗᲐᲜ—ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲗᲐᲜ. ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲚᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲛ ᲓᲐᲒᲕᲜᲐᲮᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲙᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲩᲐᲙᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲝᲡᲚᲔᲚᲘᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲔᲕᲔᲚᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲛᲘᲘᲦᲒᲔᲑᲔᲓᲜᲔ ᲡᲘᲡᲢᲝᲙᲘ ᲒᲐᲛᲜᲐᲚᲓᲐᲣᲠᲘᲗᲔᲑᲔᲚ ᲞᲘᲡᲬᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲔᲓᲒᲠᲝᲛᲝᲜᲐᲓᲐᲜ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲫᲔᲡ—ᲠᲐᲛᲘᲗᲘᲗᲔᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲐᲛ, ᲛᲘᲘᲦᲝ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ. ᲛᲐᲨ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲓᲐᲒᲚᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲘᲗᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲪᲓᲐᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲓᲐᲐᲢᲔᲮᲡ ᲠᲘᲡᲮᲕᲐᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲞᲘᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ, ᲣᲤᲠᲝᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲫᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲑᲡ. ᲛᲐᲨ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲔᲓᲒᲠᲝᲛᲝᲜᲐᲓᲐᲜ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲫᲔᲡ—ᲠᲐᲛᲘᲗᲘᲗᲔᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲐᲛ, ᲛᲘᲘᲦᲝ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ. ᲛᲐᲨ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲓᲐᲒᲚᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲘᲗᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲔᲕᲔᲚᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲝᲓᲐᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲬᲚᲐᲡ ᲘᲡᲚᲔᲛᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲢᲠᲔᲑᲛᲐᲪ ᲘᲪᲘᲛᲔᲡ,ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲬᲐᲡ, ᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲑᲡ.

Ს. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘᲕᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲰᲓᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ, ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲬᲘᲜᲔᲗ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ—საქართველოს ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ. ᲐᲛᲘᲗ ᲛᲐᲜ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ.

ᲔᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲚᲘᲖᲐᲠᲓᲔᲜ ᲛᲐᲗᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲛᲫᲛᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ, მან ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲓᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲜᲔᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲐᲮᲕᲔᲓᲠᲔ ᲠᲐ ᲛᲐᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲚᲔᲚᲘᲗ—„ᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲣᲚᲘ“ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

1924 ᲬᲚᲘᲡ 29 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ-ᲞᲘᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲜᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲗᲔᲗᲠᲗᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲗᲐᲜ—ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲗᲐᲜ. ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲚᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲛ ᲓᲐᲒᲕᲜᲐᲮᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲜᲘᲙᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲩᲐᲙᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲝᲡᲚᲔᲚᲘᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲔᲕᲔᲚᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲝᲓᲐᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲬᲚᲐᲡ ᲘᲡᲚᲔᲛᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲢᲠᲔᲑᲛᲐᲪ ᲘᲪᲘᲛᲔᲡ,ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲬᲐᲡ, ᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲑᲡ.

Ს. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

მოწოდება ქართულ სოციალისტურ წითელ მუშურ-გლეხურ ჯარისადმი.

(მისი ხუთი წლის არსებობის გამო).

ამხანაგებო! წითელ არმიელებო! მეთაურებო! კომისრებო და პოლიტხელმძღვანელებო! შესრულდა ხუთი წელიწადი ქართული წითელი ჯარის ჩამოყალიბების დღიდან. ამ ხუთი წლის განმავლობაში ქართულმა წითელმა ჯარმა განვლო დიდი სკოლა. ეს იყო ხანა სამხედრო მშენებლობის და შემოქმედებ.

ამხ. შ. ელიავა.

ეს იყო ხანა ერთ და იმავე დროს თქვენი საომარი ძლიერების და პოლიტიკური შეგნებისა და სიმწიფის, შეუჩერებელი ზრდისა და მატებისა.

ქართული წითელი ჯარი წარმოიშვა მეტად მძიმე და რთულ პირობებში. საზოგადოების ერთი ნაწილი და ძველი აფიცრობა მის წინააღმდეგ იყო განწყობილი. მენშევიკების პარტია ეწეოდა გიუდმენით საზიზღარ პროვოკაციას, როგორც საბჭოთა ხელისუფლების, ისე წითელი ჯარის წინააღმდეგ. იყო ცდა ქართული წითელი ჯარის წაიდგმისა საქართველოში მყოფ რუსის წითელი არმიის ნაწილებ.

ბის წინააღმდეგ. ავრცელებდენ ხმებს, რომ ქართული წითელი ჯარი მხოლოდ ხალხის მოსატყუებლად არის გამოკონილი, რომ მას არავინ ყურადღებას არ აქცევს, რომ ფაქტიურად საქართველო რუსის ჯარების მიერ არის დაკავებული, როგორც დაპყრობილი ქვეყანა და სხვა და სხვ. საერო ოფ მართლაც თავდადებული მუშობა, რომ ასეთ პროვოკაციას ანკესზე არავინ წამოგებულიყო. ამავე დროს ქართული წითელი ჯარის ნორმალურ ზრდა-განვითარებას ხელს უშლიდა აგრეთვე ნივთიერი სახსარის ნაკლებობა და ზოგ შემთხვევაში სრული უქონლობაც. მაგრამ ეს საერთო ნაკლი იყო. ყოველივე ეს უკიდურესად ართულებდა და აძნელებდა განსაკუთრებით ქართული წითელი ჯარის მუშობას და შემოქმედებას. მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ გვქონდა ორი პირობა, რაც ხელს გვიწყობდა ქართული წითელი ჯარის აღმშენებლობაში.

პირველად წითელი ჯარისთვის საუკეთესო მასალა მუშის და გლეხის შვილები; მეორედ, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილება, ლენინს ანდერძის თანახმად, რომ რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ქართული წითელი ჯარი მაინც უნდა შეგქმნათ.

და ეს ყველა ორგანოების შეერთებულმა მეცადინეობამ მიზანს მიაღწია. ყველა დაბრკოლებები და სიძნელეები დაძლეულ იქნენ. ვერც მუშათა კლასის და საბჭოთა ხელისუფლების მტრების ოინებმა გასჭრა. და დღეს, ქართული წითელი ჯარის არსებობის ხუთი წლის თავზე საქართველოს მუშებს და გლეხებს შეუძლიანთ იამაყონ მით, რომ მათ შექმნეს ისეთი წითელი ჯარი, რომელიც თავისი დისციპლინით, თავისი საომარი სიძლიერით და თავისი პოლიტიკური შეგნებით არ ჩამოუვარდება საკავშირო წითელ არმიას, რომ ეს შემადგენელი ნაწილს ის წარმოადგენს.

ქართული წითელი ჯარის ერთ უდიდეს მიღწევას შეადგენს ეროვნული საკითხის სწორი გადაჭრა თვით წითელ ჯარში, და გარდა ამისა ნაყოფიერი ძმური ურთიერთობის დამყარება ქართულ წითელ ჯარსა და რუსეთის წითელ არმიის საქართველოში მყოფ ნაწილებს შორის. დღე იყოდონ მუშათა კლასის მტრებმა იმის შესახებ, რომ საქართველო ლეჩარავთ უცხოელ ჯარებსო. ქვეყანამ იცის, რომ ეს საზიზღარი ბოროა. საქართველოს წ. ჯარის ნაწილები რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკისტანის, თურქმენისტანის სომხეთის და აზერბაიჯანის წითელ არმიელებთან ერთად ემსახურებიან ერთ ყველასათვის საერთო დიდ საქმეს, რომელსაც სოციალიზმი ქვია.



ამხ. ფ. მახარაძ.

ამ ხანაგებო! წითელ არმიელებო! წითელი ჯარი ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ერთი უდიდესი მონაპოვრთაგანია. კიდევ მეტი: წითელი ჯარი ამ რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნების და, მასასადამე, სოციალიზმის განხორციელების ერთი უდიდესი თავდებთაგანია. წითელი ჯარი საბჭოთა ხელისუფლების ერთი მთავარი ბურჯი, რომელზედაც ის ეყრდნობა. წითელი ჯარი თავდებია საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი მუშაობისა.

მას შემდეგ, რაც საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება და წითელი ჯარი არსებობენ, არსად არ დარღვეულა მშრომელთა მშვიდობიანი ცხოვრება და შემოქმედებითი მუშაობა.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ საქართველოს წითელი ჯარი არ წარმოადგენს განცალკევებულ ძალას. ყველა საბჭოთა რესპუბლიკების წითელი ჯარები გაერთიანებულია ერთ დიდ სახელოვან წითელ არმიაში, და სწორედ ამაშია ჩვენი ძალა, წითელი ჯარის დაუძლეველობა. ერთი რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკის მტერი არის იმავე დროს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ანუ მთელი საბჭოთა კავშირის საერთო მტერი.

ამაშია ჩვენი დაუძლეველი ძლიერება. და ეს კარგად იციან ჩვენმა მტრებმა. ჩვენი კავშირი, მასასადამე, საქართველოც, გარშემორტყმულია ბურჟუაზიული სახელმწიფოებით, რომლებიც მზად არიან ჩვენ ჩაგვყლაპონ, მაგრამ იმათ ეშინიათ ჩვენი გმირული, სახელოვანი და დაუძლეველი წითელი ჯარის.

ამხ. ვოროშილოვის დეპეშა

(გადმოცემულია მოსკოვიდან პირდაპირი მავთულით)

ტფილისი კავკასიის წითელდროშოვანი არმიას.

ამხ. ორჯონიკიძეს.

საქართველოს წითელი არმიის ხუთი წლის თავზე რევოლიუციონურ სამხედრო საბჭომ გამოუყო ქართულ ცხენოსან ლეგიონისთვის 200 ცხენი, რომლებიც განწესებულ იქნებიან 1-ლ ივლისისთვის.

ვოროშილოვი.

წითელი ჯარის სახელი მოდებულია მთელ ქვეყნიერებაზე, როგორც დამცველის ყველა ჩაგრულთა და დამონებულთა.

მთელი ჩაგრული კაცობრობა მას სასოებით და სიყვარულით შეყურებს. პირიქით, ის საშიში და თავზარდამცემია ყველა მჩაგვრელებისა და მონების ეიელებისათვის. წითელი არმიას თავგანწირული ბრძოლით და სისხლით მოპოებული აქვს სახელი დაუძლეველის და დაუმარცხებელის. წითელი ჯარი თვითონ არსებითით, თავისი დიდი მოწოდებით არ იყუთვნის ერთ რომელსამე ერს, ანუ ერთ რომელსამე ხალხს, ის საერთაშორისო, მსოფლიო ძალაა. ასე უყურებენ მას ყველა ქვეყნების მუშები და გლეხები.

ამხ ნაგებო, საქართველოს წითელ არმიელებო! ხუთი წლის წინედ საქართველოს წითელი ჯარი, როგორც უნიროსი მოძმე, დაეხმარა რუსეთის სახელოვან წითელ არმიას, მას შემდეგ თქვენ იზიარებთ მის ტარს და ლხინს, მის გაჭირვებას და სახარულს. თქვენ განამტკიცეთ და უკეთესი ქმენით ძმური კავშირი საბჭოთა კავშირის ყველა ერთა მორის. თქვენ მოწოდებული ხართ შეუდრეკელად და მტკიცედ დიაცვათ ერთგულობა მუშების და გლეხების ხელისუფლებისადმი! თქვენ მოწოდებული ხართ დაიცვათ მშრომელი ხალხის ინტერესები! თქვენი მისაბაძი მაგალითი ყველა თვის უნდა დარჩეს ის წითელ ჯარი, რომელიც 1918—1920 წლებში დაამარცხა მუშათა კლასის აუარება მტერი. ის წითელი დროშა, რომელიც თქვენ გადმოგცეთ წინა თაობათა მებრძოლებმა, თქვენ მაღლა უნდა გიჭიროთ. ეს წითელი დროშა თქვენ ამაყად და შეუდრეკელად უნდა ატაროთ. და მაშინ თქვენ განახორციელებთ თქვენი უდიდესი ბოლოდროს—ლენინის ანდერძს.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ჯარს!

გაუმარჯოს საკავშირო წითელ არმიას!

გაუმარჯოს წითელი ჯარის ბელადს — კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

სრულ ად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ ალმასრულებელ კომიტეტის თ ვმჯდომარე ფ. მახარაძე. საქ. ფ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ქართულ-მუშურ-გლეხური წითელი სოციალისტური ჯარის ხუთი წლის თავზე.

წითელი ჯარის წარმოშობა და განვითარება მეჩიდრეთ და ორგანიულადაა დაკავშირებული ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებასა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საბჭოთა ხელისუფლება უწითელჯაროდ, ან წითელი სოციალისტური ჯარი—საბჭოთა ხელისუფლების გარეშე. ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა შექმნეს და განავითარეს ბურჟუაზიული ჯარები ბურჟუაზიულ კლასებისა და ბურჟუაზიულ საკუთრების დასაცავად. საბჭოთა სახელმწიფო, აგებული სრულიად სხვა საფუძველზე, რომელიც მოწოდებული იყო ერთის მხრივ დაეცვა მუშათა კლასი კაპიტალის ბატონობისაგან და მეორეს მხრივ შესდგომოდა სოციალიზმის დამყარებას, საჭიროებდა თავის საკუთარ ჯარს, რომელიც აგებული უნდა ყოფილიყო სრულებით სხვა საფუძველზე, ვინემ წინანდელი ბურჟუაზიული ჯარები. და ეს ასეც მოხდა.

ჩვენ ვიცით, რომ მუშურ-გლეხური წითელი ჯარი, როგორც ასეთი, წარმოიშვა პირველად საბჭოთა რუსეთში, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, 1918 წელს 23 თებერვალს, ე. ი. იმ დროს, როცა ახლად დამყარებულ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვართ უდიდესი საფრთხე მოელოდა მუშათა კლასის მტრებისაგან. სამი წლის შეუწყვეტელი, გმირული და თავგანწირული ბრძოლის მეოხებით საბჭოთა რუსეთის წითელმა ჯარმა დაამარცხა მუშათა კლასის მტრების. შეიარაღებული ძალები და მით მან იხსნა საბჭოთა ხელისუფლება უდიდესი განსაცდელისაგან.

რა ხდებოდა იმ დროს საქართველოში ან რას წარმოადგენდა ის? ის წარმოადგენდა კონტრ-რევოლიუციონერების თავშესაფარსა და ბუდეს, საიდანაც აწყობდენ და ამზადებდენ საბჭოთა რუსეთზე სხვადასხვა გვარ კონტრ-რევოლიუციონურ თავდასხმებს. და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მაშინ საქართველოში ბატონობდა მენშევიკური პარტია, რომელმაც ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ზურგი აქცია რევოლიუციონურ რუსეთს და ნაცვლად ამისა მიეკედლა მუშებისა და გლეხების მოსისხლე მტრებს—ერთი მხრით რუსეთის კონტრრევოლიუციონურ ძალებს და მეორე მხრით ევროპის იმპერიალისტურ მტაცებლებს.

მენშევიკების მთავრობა გადაიქცა ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის ნამდვილ იარაღად ერთის მხრივ წლა ეროვნული შფოთის და განხეთქილების წყაროდ—მეორეს მხრივ. რაც დრო გადიოდა, მენშევიკების ბატონობა სულ უფრო და უფრო აუტანელი და სულისშემხუთავი ხდებოდა მუშათა კლასისთვის. ამიტომ საქართველოს მუშებისა და ჯლეხების ინტერესებისთვის მენშევიკური მთავრობის დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აუცილებელ საჭიროებად ჩამოდგენდა. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს მშრომელმა ხალხმა, განსაკუთრებით გლეხაკობამ, ეს რამდენიმეჯერ სცადა (გლეხების აჯანყებები 1918, 1919 და 1920 წლებში სიმაგრელოში, ლეჩხუმში, სოხუმში, დუშეთის მაზრაში, სამხრეთ ოსეთში და სხვ.). მაგრამ მენშევიკების მთავრობამ მოახერხა ყველა ამ აჯანყებების ჩაქრობა ყოფილი მეფის აფიცრების დახმარებით ერთის მხრივ და ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ხელისშეწყობით მეორეს მხრივ. აშკარა იყო, რომ იმ პირობებში, როგორიც იმ დროს საქართველოში იყო შექმნილი, მუშებსა და გლეხებს თავისი საკუთარი ძალით მენშევიკური მთავრობის დამხობა არ შეეძლოთ. მიუხედავად ამისა, ისინი ბრძოლას მაინც განაგრძობდენ და მასთან ერთად, რომ საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარი მათ ხელს გაუწვდიდა მისაშველებლად. შექმნილ პირობებში ეს დახმარება სრულიად ბუნებრივი იყო. სხვა გამოსავალი არ მოიძებნებოდა. ასეთი მოძეწილი დადგა და საქართველოს გლეხებმა ხელი გაუწოდეს რუსეთის წითელ ჯარს, რომ ის დახმარებოდა მათ მენშევიკების ბატონობისაგან გასათავისუფლებლად. რუსეთის წითელ ჯარს არ შეეძლო უარი ეთქვა ამ დახმარებაზე.

საქართველოს მუშებთან და გლეხებთან ერთად რუსეთის წითელ მა ჯარმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკური მთავრობის დამხობაში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. მაგრამ ცხადზე უცხადესი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე საქართველოში უნდა შემდგარიყო ქართული წითელი ჯარიც. და ეს ასეც მოხდა: საბჭოთა საქართველოს მთავრობის დეკრეტით (1921 წ. 11 მარტი) მენშევიკების მთავრობის ჯარი და სახალხო გვარდია გამოცხადებულ იქნენ დაშლილად, და იმავე დეკრეტით სათანადო ორგანოს ეკისრებოდა ქართული წითელი ჯარის მოწყობა.

ამ დეკრეტის შესასრულებლად 1921 წლის 21 მარტს ქ. ბათუმში საბჭოთა საქართველოს საბჭოდრო და საზღვაო სახალხო კომისარის ამხ. ელიავას მიერ—გამოცემულ იქნა ბრძანება ქართული წითელი ჯარის შესადგენად. ამ გვარად 1921 წლის 21 მარტიდან იწყებენ ქართული წითელი ჯარის არსებობას.

რა თქმა უნდა, მე სრულებითაც არ ვფიქრობ ამ მოკლე წერილში ქართული წითელი ჯარის ისტორიის მოთხრობას გაველილ ხუთი წლის განმავლობაში, მით უფრო, რომ ეს ისტორია ჩატარდა ყველა ჩვენგანის თვალწინ. მე მსურს აღვნიშნო აქ მხოლოდ რამდენიმე გარემოება ქართული წითელი ჯარის დასახასიათებლად, სახელდობრ, თუ რა პირობებში მოხდა პირველად ამ ჯარის ჩამოყალიბება, რა ელემენტებისაგან შესდგებოდა ის პირველ ხანებში, რა ძირითადი განსხვავება არსებობს ჩვენს წითელ ჯარსა ერთის მხრივ და მენშევიკების ჯარსა და სახალხო გვარდიას შორის—მეორეს მხრივ.

ჩვენ ვიცით, რომ, როცა დაიწყო შეტაკებები რუსეთის წითელ ჯარებსა და საქართველოს მენშევიკების ჯარს შორის, მენშევიკების ჯარის ნაწილებში მაშინვე იწყება დაშლა: ისინი ასობით და ათასობით ყრიდენ იარაღს და ბრუნდებოდენ სახლში, ან გადადიოდენ წითელი ჯარის მხარეზე. მენშევიკების თავრობა ღებულობდა ამის წინააღმდეგ უსასტიკეს ზომებს, მაგრამ ეს ზომები ალარ სჭრიდა: მენშევიკების ჯარების დაშლა-რღვევა სულ უფრო და უფრო მასიური ხასიათის ღებულობდა.

უკანასკნელად, როცა მენშევიკების თავრობა ბათუმში გაიქცა, მას შერჩა მხოლოდ ჯარის რამოდენიმე ნაწილი, რომელთაც კიდევ შერჩენოდათ მენშევიკების თავრობის ნდობა. მაგრამ ეს ნდობა მათ ჩქარა დაკარგეს, როცა თავისივე თვალით დაინახეს მენშევიკების თავრობის ვერაგობა და ღალატი. ეს ღალატი მდგომარეობდა იმაში, რომ მენშევიკების თავრობამ მთელი აჭარისტანი ბათუმითურთ საიდუმლო ხელშეკრულებით ოსმალეთს გადასცა, იმ აზრით, რომ ოსმალეთის ჯარებს არ შეეშვათ ბათუმში წითელი ჯარი, იმავე დროს კი მენშევიკების თავრობა ხალხისაგან მოპარული ქონებით ევროპაში გარბოდა თავისი თავის საშველად.

ამის შემდეგ მენშევიკების ჯარის ნაწილები ერთბაშად გამოფიზნდენ. ამათ მაშინვე გადასცეს თავისი თავი ქართველ კომუნისტების და ახალი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების სრულ განკარგულებაში და საქმით, თავისი სისხლით დაამტკიცეს სრული ერთგულება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ: ქართველ ჯარისკაცებიდან 80 კაცზე მეტი მოკლულ იქნა მაშინ ბათუმში საბჭოთა ხელისუფლების დაცვის დროს. არსებითად ეს ნაწილები ასრულებდენ უკვე წითელი ჯარის როლს და, მაშასადამე, ამათ დაიმსახურეს წითელ ჯარში ჩარიცხვა. და ეს იქნა ჩამოყალიბებული 21 მარტის ბრძანებაში.

ამნაირად მიეცა დასაწყისი ქართულ წითელ არმიას: პირველად მასში მეყვანილ იქნენ ყოფილი მეშენიკური ჯარის საღი ელემენტები და აგრეთვე მოხალისეები. ასეთი შემადგენლობა იყო პირველ ხანებში, სხვანაირად მაშინ შეუძლებელი იყო: შემდეგში კი ეს სრულიად შეიცვალა.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ის, თუ რა განსხვავება არსებობს მენშევიკების ჯარსა და ჩვენს წითელ არმიას შორის, მე აქ დავსახელებ რამდენიმე გარემოებას, რაც ახასიათებდა მენშევიკების სამხედრო ორგანიზაციას, როგორც ცნობილია, მენშევიკებს ყავდათ ჩვეულებრივი ჯარი და სახალხო გვარდია. მეტად საყურადღებოა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენდა განსაკუთრებით ეს სახალხო გვარდია.

თავდაპირველად სახალხო გვარდიას „წითელი“ გვარდია ერქვა. ეს წითელი გვარდია შექმნეს მენშევიკებმა ჯერ კიდევ 1917 წლის შემოდგომაზე, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როცა ტფილისში საბჭოთა გადატრიალების საშიშროება შეიქნა. აი ამ გადატრიალების თავიდან აცილებლად მენშევიკებმა შეადგინეს პარტიულ მუშებისაგან წითელი გვარდია. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა მენშევიკების „დამოუკიდებელი“ საქართველო. მაგრამ შემდეგში მენშევიკები ხელიხელ ჩაკიდებული კონტრრევოლიუციო-

საქართველოს წითელი არმიის მეხუთე წლის თავი.

(21 მარტი 1921 წ. 21 მარტი 1926 წ).

გაერთიანებულ საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის უწყვეტი და მამაც ლაშქარი—წითელი არმიას—ეს ბრძოლა ბრწყინვალე ხალამი მისი არსებობის მეხუთე წლის თავზე.

1917 წლის დიდი ოქტომბრის დღიდან დაწყებული ეს ამბავი სამკვდრო-სასიცოცხლო, გასაოცარი გმირობის შარავანდედით მოსილი, ბრძოლა მუშებისა და გლეხებისა ძველი ფეოდალების და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ჩრდილოეთით ლენინგრადიდან დაწყებული დასავლეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით მრავალ-ათასიანი ვერსის სიგრძეთ მოაწყდა ამიერკავკასიას. მუდამ მოწინავე მრეწველობის ცენტრი ბაქო და მთელი აზერბაიჯანი შეუერთდა საბჭოთა ქვეყანას, 1920 წელს—გაზაფხულის დღეებში.

ივანე წლის ბოლოში მას მოჰყვა ერევანი და მთელი სომხეთი.

1921 წელს— თებერვალ-მარტის დღეებში ჯერი მიდგა საქართველოზე: ფრონტი ბაქო-ბათუმი გამოსწორებული და უზრუნველყოფილი შეიქმნა მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის. შერთდა საქართველო-აზერბაიჯანის-ტანის სამხრეთ-ოსეთი და შეუერთდა მოძე ნომხეთსა და



ამხ. მ. ცხაკაია.

აზერბაიჯანს გაერთიანებულ ამიერკავკასიის სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც შედის საბჭოთა სოციალურ რესპუბლიკების დიდ კავშირში.

ამის რომქმედია ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური ძლევამოსილი, ინტერნაციონალური წითელი არმია, კომპარტიის ხელმძღვანელობით და პროლეტარიატის დიქტატურის ხელისუფლების ქვეშ, რომლის განუყრელ ნაწილად ევასიის წითელდროშიან არმიის ფანგლებში შედის ჩვენი ახალგაზრდა მუშურ-გლეხური საქართველოს წითელი არმია—თავის ორი მსროლელი დივიზიებით.

საქართველოს წითელი არმია დაიბადა ბრძოლის ქარცეცხლში 1921 წ ლს თებერვალ-მარტის დღეებში, როცა საქართველოს მოწინავე მერძოლ მუშებმა და გლეხებმა კომპარტიის ხელმძღვანელობით და ჩრდილოეთის მოძმე მუშურ-გლეხურ წითელ ჯარების შემწეობით, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში განდევნეს საქართველოდან მოღალატე ცრუ დემოკრატიული მენშევიკური მთავრობა—ჟორდანია, ჩხეიძე-გეგეჭკორი-ჩხენკელი წერეთელ რამიშვილებისა შავი ზღვის იქით მათ დამქირავებელ მტაცებელ იმპერიალისტებთან.

დადგენილება № 24.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ამნისტიის შესახებ.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის წითელი არმიის არსებობის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ქართული წითელი არმიის სამხედრო მსახურნი, რომელნიც ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე იხდიან სიცოცხლის დაკვის ღონისძიებას საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებათა განაჩენით ან აღმინისტრაციული ორგანოთა დადგენილებით ისეთი დანაშაულისათვის, რისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით სოციალური დაცვის ღონისძიებათ დაწესებულია ფულადი ჯარიმა, იძულებითი მუშაობა, ან ერთ წლამდე თავისუფლებით აღკვეთა, განთავისუფლებული იქმნეს სოციალური დაცვის ღონისძიების იმ ნაწილისაგან, რომელიც ჯერ არ მოუხდიათ.

2. მოსპობილი იქმნეს წარმოებანი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესისამებრ ისეთი დანაშაულის საქმე, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების პირველ მუხლში და ჩადენილია ა. წ. მარტის 21-მდე, უკეთუ იგი წესსა წარმოების სტადიაშია, მხოლოდ ისეთი საქმე, რის შესახებაც განაჩენი უკვე გამოტანილია მაგრამ ჯერ კიდევ კანონიერ ძალაში არ შესულა, ან სისრულეში მოყვანილი არ არის—მოსპობილი იქმნეს ის სასამართლოს განწესრიგებელ სხდომის დადგენილებით, სადაც აღნიშნული საქმე სწორმოებს ან იმ დაწესებულებების დადგენილებით, რომლის მიერ გადაწყვეტილია გადახედვინება.

3. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული პირნი, რომელნიც დადგენილების გამოქვეყნების დღემდე იხდიან თავისუფლების აღკვეთას, ყველა სხვა, გარდა 1-ლ მუხლში აღნიშნული დანაშაულისათვის, იმ დანაშაულის გამოკლებით, რაც განთავისუფლებულია 58-73, 76, 116, 1171-186 მუხ. და 187 მუხ. „ბ“ პუნქტ. (როდესაც კურდობა ჩადენილია განსაკუთრებით—რეციდივი), 187 მუხ. „გ“ 3. 187 და 191. მუხ. ზეკანონიერად ვადაცდენ—პირობითი განთავისუფლება, უკეთუ მათ მოუხდიათ უკვე ერთი მესამედი თავისუფლების აღკვეთის ვადისა ის წესისა და იმ პირობებისამებრ, რაც კანონით დაწესებულია ვადადე პირობით განთავისუფლებისათვის და უკეთუ ისინი არ ეჩვენენ სოციალურად საშიშარნი და მათი მოქმედება არ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებრივი სართო წესრიგისათვის.

4. წინა მუხლში გათვალისწინებული დანაშაულისათვის ამავე მუხლში აღნიშნული გამონაკლისის, რაც ჩადენილია ქართული წითელ არმიის სამხედრო მსახურის მიერ ამა წლის მარტის 21-მდე, ხოლო საქმე ჯერ არ არის განხილული სასამართლოს და სათანადო ადმინისტრატიული დაწესებულებას უფლება ეძლევა საქმის განხილვის შემდეგ განსახილველი ვადით დანაშნული სოციალური დაცვის ღონისძიება შეამცროს ერთი მეამედით.

შენიშვნა: უკეთუ სამხედრო მსახურს ა. წ. მარტის 21-მდე ჩადენილი დანაშაულისათვის გარდაეწყვეტა სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება, სასამართლოს ან სათანადო ადმინისტრატიულ დაწესებულებას უფლება ეძლევა აღძრას სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა, რათა აღნიშნული სოციალური დაცვის ღონისძიება შეცვლილ იქნეს ათი წლის თავისუფლების აღკვეთით.

5. ამა დადგენილებაში აღნიშნული შელავათი არ გავრცელდება:

ა) ყოველგვარ ფულად და ქონებრივ გადახდევინებაზე, რაც არ წარმოადგენს ფულადი სახით დანიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას,

ბ) ფულადი დაჯარიმებაზე, რომელიც უკვე სისრულეშია მოყვანილი და

გ) ისეთ გადახდევინებაზე, რაც გადაწყვეტილია სისხლის სამართლის სასამართლოში წარდგენილი სამოქალაქო სასჯელის გამო.

6. ქართული წითელი არმიის სამხედრო მსახურნი სრულიად განთავისუფლებული იქმნენ დისციპლინარული გადახდევინებისაგან და აგრეთვე იძულებითი მუშაობისა და თავისუფლების აღკვეთისაგან, რაც მათ გადაეწყვიტათ ადმინისტრატიული წესისამებრ ა. წ. მარტის 21-მდე ჩადენილ ქმედობისათვის.

7. უმაღლესი მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკალოს ქართული მსროლელი დივიზიების პროკურორს, რესპუბლიკის პროკურორის საერთო მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობით; ამ უკანასკნელს დაეკალოს გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1926 წლის მარტის 20

ტფილისი—სასახლე

მას აქეთ მრავალჯერ სცადეს მათ თავიანთი დამქირავებლების ხარჯზე მტაცეცე შეერთებულ მუშურ-გლეხურ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს დანგრევა, მაგრამ ამაოთ.....

მათი ცდა 1924 წლის აგვისტოს დღეებში წაიწყდა და მხოლოდ რამოდენიმე დღის განმავლობაში გაიგმირა სახელოვანი წითელი არმიის საქართველოს მუშურ-გლეხურ ნაწილების მიერ...

ვაშა და დიდება ამ ახალგაზრდა წითელ ლაშქარს, გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას ერისა არსებობის ხუთი წლის თავზე.

ძირს ხალხის მტრები—მენშევიკები და ყველა ძველი თავად-აზნაურები და ბურჟუები ძველი მეფობის და კაპიტალიზმის მოტრფიალენი.

გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკების დიდ კავშირს!

გაუმარჯოს ამიერკავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს კომუნიზმს—მარქსიზმს-ლენინიზმს!

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

თბილისი, 20 მარტი, 1926 წელი.

ნურ ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად ქნიან „დამოუკიდებელ“ საქართველოს. მაშინ ისინი იძულებული ხდებიან, როგორც შინაურ, ისე უცხოელ (გერმანიის კაიზერის ჯარის უფროსის კარნახით) კონტრრევოლიუციონერების კატეგორიული მოთხოვნის თანახმად სიტყვა „წითელი“, რაც გერმანულად მაინც რევოლიუციას აგონებდათ ყველას, შეეცვალათ სიტყვა „სახალხო“-თი. ამნაირად წითელი გვარდია იქცა სახალხო გვარდიად.

მართალია, ეს იყო გარეგანი ცვლილება, მაგრამ ის გამოხატავდა იმ ღრმა ცვლილებას, რაც მენშევიკურმა პარტიამ განიცადა ამ ხნის განმავლობაში, სახელდობრ ის, რომ ეს პარტია გადაიქცა ბურჟუაზიის მარჯვე იარაღად სოციალისტური პროლეტარიატის წინააღმდეგ. თვით სახალხო გვარდია კი შეიქმნა ყოველად უპრინციპო ორგანიზაციად, რომელსაც დასჩემდა თვითნებობა და თავგასულობა. ის წარმოადგენდა მენშევიკური პარტიის ბრმა იარაღს და როგორც ასეთი, სარგებლობდა ყოველგვარი უპირატესობით. ძალმომრეობა, თვითნებობა, ულიერობა, მოქალაქეთა შეურაცყოფა სახალხო გვარდიის მხრით,—ყოველივე ეს ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქეყანაში. ამნაირი სულიდან იყო გაჟღენთილი მთელი სახალხო გვარდია, დაწყებული მისი მეთაურითვ. ეს ყველითი—და გათავებული უკანასკნელი გვარდიელით. ამიტომაც იყო, რომ ხალხს საერთოდ სახალხო გვარდია სძულდა. განსაკუთრებით სძულდა ის გლეხებს, და სამართლიანადც, რადგანაც ყველაზე უფრო აჯანყებულ გლეხებს ატყდებოდათ თავს მენშევიკების გვარდიელების რისხვა და ძალადობა: გარდა ამისა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახალხო გვარდია სრულებით არ თაკილობდა ხალხის აკლებას და დარბევას, ცემა-ტყეპას და ქალების გაუპატიურებასაც. ამის „მაგალითი მრავალისაგან მრავალია. ასეთი იყო სახალხო გვარდია, რომელსაც მენშევიკები ყოველივე უპირატესობას ანიჭებდენ.*)

როგორც ზევით იყო ნათქვამი, გარდა სახალხო გვარდიისა მენშევიკებს ყავდათ კიდევ ჩვეულებრივი ჯარი, რომელიც იმყოფებოდა ნამდვილი გერის მდგომარეობაზე. რამდენადაც მენშევიკების მთავრობა მზრუნველობას უწევდა და ყოველგვარ უპირატესობას ანიჭებდა სახალხო გვარდიას, იმდენად ჯარი მოკლებული იყო ყოველივე ყურადღებას და მზრუნველობას მთავრობის მხრივ. მაშინ, როცა სახალხო გვარდიას არამც თუ არ აკლდა, არამედ ზედმეტი ქონდა როგორც ტანსაცმელი, ისე სურსათი, იმდენად ჯარი გახდილი, შიშველ-ტიტველი და მშიერი იყო. ეს გარემოება, რა თქმა უნდა მეტად ცუდ შთაბეჭდილებას იხდენდა ყველაზე. აქედან გამომდინარეობდა ის, რომ სახალხო გვარდიასა და ჯარს შორის ცუდი განწყობილება იყო, პირდაპირ განხეთქილებას ქონდა ადგილი.

ამავე დროს მენშევიკების ჯარი ოგივე მეფის ჯარის ასლი („კოპია“) იყო, ოგივე ჯალათური მოპყრობა ჯარისკაცებთან ოფიცერების მხრივ, ოგივე სრული უუფლებობა ჯარისკაცების, როგორც ეს იყო მეფის ჯარში. ერთი სიტყვით მენშევიკების ჯარი აშენებული იყო ბურჟუაზიული ჯარის პრინციპზე: მას არაფერში არ ეტყობოდა რევოლიუციის ნიშნაწყალი ყოველივე ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, რომ მენშევიკების ჯარში დიდი უკმაყოფილება იყო დაბადებული. მე ვიცი შემთხვევები, როცა ამ ჯარის მთელი ნაწილები თანაუგრძნობდენ საბჭოთა ხელისუფლებას და მზად იყვნენ მენშევიკური წესწყობილების წინააღმდეგ აჯანყება მოეხდინათ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 1921 წლის თებერვლის თვეში, როცა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება მყარდებოდა, მენშევიკური ჯარის მთელი ნაწილები უბრძოლველად „გადმოდიოდენ საბჭოების მხარეზე.

ყოველივე ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ მენშევიკების ჯარში სრულებით არავითარ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ადგილი ქონებია.

ასე და ამ გვარად, მენშევიკების ჯარი ოდნავადაც არ წარმოადგენდა რევოლიუციონერ არმიას, პირიქით, ეს არმია ემსახურებოდა კონტრრევოლიუციას, ის მოქმედებდა იმპერიალისტურ ჯარებთან ერთად, როგორც საბჭოთა რუსეთის, ისე საქართველოს რევოლიუციონერ გლეხების და მუშების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ამაში ბრალი ედებოდა არა თვით ჯარს, არამედ იმ პარტიას, რომელიც იმ დროს ხელმძღვანელობდა მთელ საქართველოს და, მაშასადამე, ჯარსაც. რომ ადამიანთა იმ მასალიდან, რომლიდანაც შეადგენდა მენშევიკების ჯარი, შეიძლებოდა ნამდვილი მუშურ-გლეხური წითელი ჯარის შექმნა,—ეს სავსებით გამართლდა საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა ჩვენ იმავე მასალიდან, სულ ცოტაოდენის გამონაკლისით, შევქმენთ მშვენიერი წითელი ჯარი.

მე მინდა ორიოდე სიტყვით შეეჩერდე იმ როლზე, რომელიც ითამაშა წითელ ჯარის უდიდესმა შემქმელმა ამხ. ლენინმა ქართული წითელი ჯარის შექმნაში. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს საქართველოში და შემდეგშიაც ლენინი საქართველოს თითქმის ყველა პასუხისმგებელ მუშაკების ყურადღებას აქცევდა ქართულ წითელ არმიის მოწყობაზა და მოვლაზე. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა ამ მხრივ, რადგანაც მან ყველაზე უფრო კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ქონდა და ეკნებოდა მომავალშიაც ქართულ წითელ ჯარს. ოფიციალურ მომართვაში, თუ კერძო ხასიათის წერილში, თუ პირად საუბრის დროს ლენინი მუდამ გვითითებდა იმაზე, რომ ქართულ წითელ ჯარს არ მოკლებოდა მზრუნველობა. ლენინი არასოდეს არ ყოფილა საქართველოში და ერთხელაც მას არ უნახავს ერთი ქართველი წითელ არმიელიც კი, მაგრამ მიუხედავად ამისა, არავის მაზე უკეთ არ ქონდა წარმოდგენილი და გათვალისწინებული როგორც საქართველოს პირობები, ისე კერძოდ ქართული წითელი ჯარის მნიშვნელობა. ეს გარემოება მეტად საგულისხმიერო უნდა იყოს, როგორც მთელი ქართული წითელი ჯარისთვის, ისე თითეული ქართველი წითელ არმიელისთვისაც.

მე მინდა შევაჩერო აქ კიდევ მკითხველის ყურადღება ერთ გარემოებაზე. მართალია, ჩვენ ვამბობთ, რომ ქართული წითელი ჯარის არსებობა იწყება 1921 წ. 21 მარტიდან, მაგრამ რევოლიუციონერი მოძრაობის ისტორია ჩვენ გვეუბნება, რომ არსებითად წითელ ჯარს ჩვენში, როგორც ყველგან უფრო გრძელი ისტორია აქვს. ყოველ შემთხვევაში 1905 წ. რევოლიუციაში ჩვენ ვხედავთ მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარ რევოლიუციონერ რაზმებს ფერიაში, სამეგრელოში, ‘ზორაპნის მაზრაში, ქართლში, განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ აქ ის „წითელი რაზმელები“, რომლებიც 1905 წ. მოქმედებდენ ქართლში (გორის და დუშეთის მაზრებში). ეს წითელი რაზმი შეადგინეს მაშინ თვით გლეხებმა თავდაცვაზე ‘ზეადი რაზმის წინააღმდეგ, რომელიც აწუხებდა და არბევდა გლეხებს რევოლიუციონერ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. ეს წითელი რაზმი იცავდა გლეხებს როგორც თავდაცვაზე ‘ზეადი რაზმისაგან, ისე ყაზახებისაგანაც. დღემდისაც ქართლში ბევრს კარგად ახსოვს როგორც თავდაცვაზე ‘ზეადი რაზმის, ისე გლეხების წითელი რაზმის მოქმედება 1905 წლის „განმავლობაში; ამ წითელ რაზმში მონაწილეობა ქართველ გლეხებს მეტად ძვირად დაუჯდათ: 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ყველა ისინი სასტიკად იქნენ დასჯილი. ამნაირად დღეანდელი წითელი ჯარის ჩანასახი ჩვენ სწორედ ამ წითელ რაზმელებში უნდა ვეძიოთ. ასეთსავე ჩანასახს წარმოადგენდენ აგრეთვე გლეხების რევოლიუციონერი რაზმები, რომლებიც 1918—1920 წლებში ამდენჯერ შეიარაღებულ აჯანყებებს, მენშევიკების მთავრობის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით საქართველოში.

ამნაირად წითელ ჯარს აქვს თავისი ისტორია ჯერ კიდევ მანამ, სანამ ის ჩამოყალიბდებოდა. ეს საბჭოთა ხელისუფლების მოსამზადებელი ხანაა. მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან შესაძლებელი შეიქნა წითელი ჯარის ჩამოყალიბება. შეიძლება იკითხონ: რაღა საჭიროა ახლა წითელი ჯარის არსებობა, როცა მთელი სახელმწიფო ძალაუფლება მუშების და გლეხების ხელშია. მართალია, საბჭოთა ხელისუფლება სავსებით უზრუნველყოფს მუშების და გლეხების ინტერესების დაცვას, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ ყავს დაუძინებელი მტრები

*) რა თქმა უნდა, გამონაკლისი აქაც იყო: ჩვენ ვიცით, რომ სახ. გვარდიაში აქა-იქ ერიენ საღი ელემენტები, რომლებიც სავსებით თანაუგრძნობდენ ბოლშევიკებს. მაგრამ ასეთების რიცხვი მცირე იყო, და მთავრობა ამათ სასტიკად სჯიდა.

ᲙᲣᲗᲣᲠ ᲒᲚᲔᲮᲣᲠᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც უდიდესი მასწავლებელს—ლენინიერ ილიჩის ამხ. ვლადიმერ ხელმძღვანელობით, საქართველოს მუშურ გლეხურმა მასებმა ძარს დასცეს იმპერიალიზმის მსახურ—მენშევიკების ძალაუფლება.

საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში მოხდა უდიდესი რევოლუცია.

ეროვნებაწოდებული „დემოკრატიის“ ბურჟუაზიული მოტყუებების და კოლონიალური დამონავების მაგიერ, შექმნილი იქნენ მუშურ-გლეხური დიქტატურის რევოლიუციონური ორგანოები.

„ნიაური და მსოფლიო ბურჟუაზია, მუშებისა და გლეხების შეურიგებელი სასტიკი კლასიური მტერი, შეუსვენებლივ ემზადება დამონავების უსაღლესი ტახნიკური საშვალებებით:

ის ემზადება, მისთვის ხელსაყრელ მომენტში თავს დაესხას შრომის სუფევის ქვეყანას, რათა ხელიდან გამოსტაცოს შრომელ მასებს დიდი ოქტომბრის დროშა.

მხოლოდ შეიარაღებული ძალის წინააღმდეგობით შესძლებს პროლეტარიატი დაიცვას თავისი ინტერესები და ბრძოლით მონაპოვარი, განსაკუთრებით, მსოფლიო იმპერიალიზმის გარშემორტყმულობის პირობებში.

და აქ შეიარაღებული, კარგად ჩაცმული, მომზადებული და ლენინურად აღზრდილი მუშურ-გლეხური წითელი არმია, ერთი უსარგებლესი თავდებია მშვიდობიანური შრომის და პროლეტარული საშობლოს აყვავების.

საქართველოს მშრომელ მასებმა შესძლეს საკუთარი კლასიური არმიის შექმნა თავისი ნაციონალური ნაწილების სახით, რომელიც უზრუნველყოფს ს. საქართველოს სოციალისტურ აღმშენებლობას.

ჩვენ შეგვძლია გადადგეგეპრა ერთი ურთულესი საკითხი სოციალიზმისაკენ წინსვლაში, სახელდობრ ეროვნული საკითხი. მათ რიცხვში, ჩვენ სრული გარკვეულობით, სისწორით და სიწრფელით გადაგვეტრით ის წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნის საქმეში.

შეიარაღებულ ძალების აღმშენებლობისათვის საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა. საგრძნობი მიღწევები გვაქვს ამ დღისთვის. მაგრამ ამოცანები, რომლებიც სდგანან მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის წინაშე მთლიანად, სერიოზული და გრანდიოზულია თავისი მოცულობით.

გარემოებანი ყოველდღიურად გვიყენებენ ჩვენ უფრო დიდ მოთხოვნილებებს.

ჩვენი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების გახვითარება და მისი იმპერიალისტური ქვეყნების

ამხ. ლევანდოვსკი.

მეზობლად ცხოვრება გვიყენებს მთელ რიგ დაბრკოლებებს, რომლებიც მოითხოვენ ჩვენგან გაძლიერებული ენერგიულობით და მტკიცე ნებისყოფით ვიმოქმედოთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის საბრძოლო უნარიანობის განმტკიცებისათვის.

მომავალი სასტიკი შეხლა მსოფლიო იმპერიალიზმთან იქნება გამოცდა ჩვენი საბრძოლო მზადებისა და მისი შეფასების. ამ ისტორიული გამოცდებისთვის ყოველ წუთს მზად უნდა ვიყოთ და ამის შესახებ განსაკუთრებით უნდა გვაახსოვდეს ჩვენ წითელი არმიის ქართული ნაწილების ხუთი წლის თავზე.

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ წითელი არმიის ქართული ნაწილები ლენინურ-კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ აღზრდილი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულით, მთელი საკავშირო მუშურ-გლეხური წითელ არმიასთან ერთად იქნებიან ოქტომბრის მონაპოვართა ფხიზელი დარაჯნი და ძლიერი იარაღი საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლისა და დიადი გამარჯვებების მსოფლიო კაპიტალიზმის შავს რეაქციაზე.

ლევანდოვსკი.

ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲒᲐᲜᲘ

ᲐᲛᲮ. ᲚᲐᲨᲕᲘᲩᲘᲡ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

მსოფლიო კაპიტალისტებისაგან მოსყიდულ ქართველ მენშევიკებისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში გაზრდილი და განმტკიცებული ქართული წითელი არმიის არსებობის ხუთმა წელმა დამტკიცა, რომ საქართველოს წითელი არმია არის დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე მტკიცედ მდგარ მშრომელი მასების კლასიური ინტერესების ნამდვილი დამცველი. გამოვსთქვამ იმედს, რომ საბჭოთა სოც. რესპუბ. კავშირის მძიმე წუთებში, საქართველოს წითელი არმია შესძლებს მტკიცედ და ენერგიულად დაიცვას მშრომელი მასების ყველა მტრებისაგან ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი.

საქართველოს წითელი არმიის ხუთი წლის თავზე, საქართველოს ყველა მებრძოლებსა და მშრომელებს უძღვნი მხურვალე სალამს.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას, რომელიც მშრომელთა ინტერესების ენერგიული დამცველია და ამაყად მიაფრიალებს კომუნიზმის დროშას მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში!

ლაფშევიჩი.

ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲯᲐᲠᲡ!

ქართულ პირველ მსოფლიო დივიზიის წითელ არმიელთ, უფროსთა და პოლიტშემადგენლობას გოხოვო გადასცეთ საქართველოს კომუნისტურ პარტიის აკრისტანის საოლქო კომიტეტისაგან მხურვალე სალამი. საქართველოს მუშებისა და გლეხების სიმაყე წითელი მხედრობა გამართლებს თავის უდიდეს დანიშნულებას საბჭოთა ხელისუფლების დაცვისა და მტკიცეკავების საქმეში. მიუხედავთ უდიდესი სუფთილისა გამენაწილებია თქვენთან ერთად დივიზიის მეხუთე წლის ბრძოლა და ზეიმი, დღეს აკრისტანის მეექსე საბჭოთა ყრილობის გახსნის ადმ, სამამსო სამშვილეა არ ავიძლევა, კიდეე მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სალამი. გაუმარჯოს ქართულ წითელ არმიას და მის ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას!

საქართველოს კომუნისტური პარტიის აკრისტანის საოლქო კომიტეტის მდივანი თენგიზ ყულ ნტი.

ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲡ.

საქართველოს წითელი არმ ის ნაწილების ორგანიზაციის მეხუთე წლის თავზე კ ვაკასიის ცალკ ი მეორე ცხენ-სანთა ბრიგადის მეთ-უ ები და პ ოლიტმომუშავენი გიძღვნით მხურვალე სალამსა და მ ლოცვას.

5 წლის ენერგიულ მუშაობამ ორგ ნიზ ციისა და სწავ ლების საქმეში გაამდ დრა საბჭოთა კავშირის წითელ არმ ის რ ზ ები საქართველოს სავსებით გაწვრთნილ და აღზრდილ მშრომ ლებ ს ა.ან.

ჩვენი სურვილია მ ექ ვ ე წელში: ერთ ა ი, ხელიხელ ჩაკიდებული ვიაროთ წინ წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობ ს გ ნმტკ ცების გზით.

მაღალი ვაშა საქართველოს წითელ არმიას!

ბრ გადის დრ. უფროსი ᲘᲐᲡᲘᲜᲡᲙᲘ.

ბრიგადის დრ. სამ. კომ ხარ ᲓᲐ ბრ. პოლიტ ანყოფილების უფროსი ᲮᲛᲔᲚᲔᲕᲡᲙᲘ.

ქართული ნაწილების ხუთი წლის თავზე კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს ტერერთეულების გამკვლევი კომისია გიგზავნით მხურვალე სალამს.

კომისიის თავმჯდომარე **ᲒᲝᲒᲝᲓᲐᲜᲝᲕᲘ.**

1-ᲚᲘ ᲚᲔᲕᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲡ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ.

მხურვალე სალამი ჰირველი ლევიონის წითელ არმიელებსა და უფროლიტმქმადგენლობას!

გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს მსოფლიო წითელ არმიას!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

ჰირველი დივიზიის ჰოლიტანყოფილების

უფროსი **ᲙᲘᲠᲘᲙᲘᲫᲔ.**

ᲐᲛᲮ. ᲞᲔᲢᲠᲔ ᲐᲦᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

მე-2 ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ

ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის და სამაზრო ჰარტკომის სახელით ვასალმები ქართულ წითელ ლაშქარს დღიდან მის არსებობის ხუთი წლის შესრულების გამო. მაზრის მშრომელი მასა დრმათ დარწმუნებულია დღეს იმაში, რომ კომპარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული წითელი ჯარის მექნაში, მის ორგანიზაციულად გამაგრებაში და კულტურულად აღზრდაში მიზანს მიაღწია. ხუთი წელი, რასაკვირველია ეს ძლიერ ცოტაა, მაგრამ ის, რაც გააკეთა ქართულმა ჯარმა რუსეთის ძლევამოსილ სახელოვან წითელ ჯარის დასმარებით, ვერ მესლებდენ თანამედროვე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ქვეყნების ჯარები. როგორც ეველა დარგში, ისე აქაც გამოდის გამარჯვებულის როლში საბჭოთა ხელისუფლება. ქართულ წითელ ჯარმა დაამტკიცა, რომ მართლაც ის არის საქართველოს მუშების და გლეხების თავისუფლების ეშბლემა, რომ ის არის მეუვალი სალი კლდე, ხელუსლებელი ციხე-სიმაგრე ჩვენი მტრებისა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვრის სადარაჯოზე.

ქართულ წითელ ჯარმა უკვე დაიკავა საპატიო ადგილი საკავშირო წითელ ჯარის საერთო ოჯახში, ჩვენ დრმათ გვწამს, რომ ახლო მომავალში ასეთივე საპატიო ადგილს დაიკავებს ის მომავალ საერთაშორისო წითელ ლაშქრის საერთ ო ოჯახში მსოფლიო მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს ქართულ წითელ ჯარს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის წითელ ლაშქარს.

ზუგდიდის მაზრკომის ᲮᲐᲒ. მდივანი **ᲥᲕᲐᲜᲘᲐ.**

როგორც შიგნით, ისე კიდეე უფრო საზღვაგარედ. ჩვენ რომ წითელი ჯარი დავშალოთ, სწორედ ეს სურთ მუშათა კლასის და სოციალიზმის მტრებს, ვინაიდან მაშინ იმათ საბჭოთა რესპუბლიკების მოსპობა მეტად გაუადვილდებათ. მაგრამ ასეთი სულელები ჩვენ არა ვართ: პირიქით, ჩვენ მუდამ ვაძლიერებთ წითელ ჯარს. მართალია მხოლოდ შემდეგი: რიცხვით წითელ არმიის არ ვადიდებთ, ჩვენ ვაუმჯობესებთ განსაკუთრებით მის სომარ ძალას. მართალია აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ ვამზადებთ ნაიდაგს ახლო მომავალში გადავიდეთ ტერიტორიალურ, ე. ი. მილიციურ სისტემაზე, რაც შეამცირებს წითელი ჯარის მუდმივ კადრს და იმავე დროს მთელ მოსახლეობას გაგხდის მებრძოლად, როცა საჭირო იქნება.

წითელი ჯარი განსაკუთრებული სამხედრო ორგანიზაციაა, რომელიც მხოლოდ საბჭოთა ქვეყნებში არსებობს. წითელი ჯარი არაა სამხედრო კასტა, როგორც ეს ბურჟუაზიულ ქვეყნებშია. წითელი ჯარის შემადგენლობა და მისი შინაგანი შენობა (სტრუქტურა) არის ასეთი, როგორც ეს შეეფუება საბჭოთა ხელისუფლებას, პროლეტარიატის დიქტატურას. წითელი ჯარი საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოებთან მჭიდროდ დაკავშირებულია. წითელი არმიელი სრულუფფლებანი მოქალაქეა, იგი ღებულობს აქტიურ მონაწილეობას საბჭოთა სახელმწიფოს ყოველ ორგანოებში. კიდეე მეტი: წითელი არმიელი ყველა ამ ორგანოების საპატიო წევრია მას შემდეგაც, როცა წითელი არმიელი ხანგრძლივ შეებულებაში მიდის, იგი ყოველგან მოწონავე და საპატიო როლს თამაშობს, მისი ასეთი როლი ორკეცდება მით, რომ ყაზარმაში ყოფნის დროს წითელი არმიელი არა თუ იძენს სამხედრო ცოდნას და სამხედრო ხელოვნებას, არამედ იგი იძენს აგრეთვე სხვადასხვა ცოდნას საზოგადოებაზე, სახელმწიფოზე და ბუნებაზე. ყაზარმიდან იგი ბრუნდება სახლში უკვე როგორც გონება განვითარებული, შეგნებული და სასარგებლო წევრი საზოგადოებისა. წითელი არმია—ეს არაა არც მეფის არმია და არც საზოგადოდ ბურჟუაზიული არმია, რომელიც ეონებას უხშობდა ახალგაზრდა ჯარიკაცს, და ქმნიდა მისგან ბრმა იარაღს მყლეფელების და ჩაგვრელების ხელში.

წითელ არმიას, საერთოდ, და საქართველოს წითელ ჯარს კერძოდ, გასული ხუთი წლის განმავლობაში ბევრი მიღწეეები აქვს. ეს „განვლილი ხუთი წელიწადი იყო დიდი და ფართო აღმშენებლობის და წინსვლის ხანა“ ქართული წითელი ჯარი ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა, გაიფვრთნა და გამოიწეფა. ეს დიდ შრომას და ენერგიის თხოულობდა, მაგრამ ეს ამოდენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაიარა და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს წითელმა ჯარმა უკვე საპატიო ადგილი დაიჭირა „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წითელ სოციალისტურ არმიაში“ ვუსურვოთ მას წარმატება და სრული გამარჯვება.

ფ. მ.ხარაძე.

ᲙᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲘᲚᲔᲢᲝᲜᲘ.

შეფი

ლეგიონში დიდი ფაციფუცი და საზეიმო მზადება იყო: ლეგიონის შეფმა შეეოსთვალა, რომ მოვდივართ საჩუქარითო.

სწშენდენ, ალაგებენ, ამ შეგნიერებენ ყველაფერს, რომ სირცხვილი არ აეპაონ ლეგიონს თავის შეფის წინაშე.

სანიმუშოდ ეწყობიან რიგებგბათ, მუსიკოსები ამბიალებენ მუსიკის ხელსაწყოს, იმეორებენ შესახვედრ მარშს.

ახალგაზრდა მეთაურთა შემადგენლობა განსაკუთრებით წმენდს ხმლების რკინებს, რომ თვალმომჭრელი ლაპლაპი გაჰკონდეს მჭის სხივებზე სამხედრო სალამის მიცემისას.

უფროსი შემადგენლობა ცნობისმოყვარეობით მარჩიელობს, თუ რა საჩუქარს მოიტანს შეფი.

ზოგი ოცნებობს პაპიროსთამბაქოზე, ზოგი ტკბილეულობაზე, ზოგი რაზე და ზოგი რაზე.

ლეგიონის პოლიტხელმძღვანელი ამზადებს შემთხვეკის შეფაერი რეზოლიუციას:

„ჩვენ ხმამაღლა ვაცხადებთ ყველა „ეტორდანიების, ჩემბერლენების, ბრიანების და რამიშვილების გასაგონათ, რომ სალ კლდესავით ვდგეგართ მუშებისა და გლეხების ხელისუფლების სადარაჯოზე“...

მოაზღოვდა დანიშნული დრო.

—„მოდიან, მოდიან!“—გაისმა ხმები.

—„სმენა, სალამი მარჯვნით!“..

—„გასცა განკარგულება ლეგიონის უფროსმა.

იგრიალა ორკესტრმა.

ლეგიონის უფროსი მოხსენებით შეეგება სტუმრებს.

საშეფო კომისიამ დაწესებულების გაგზის მეთაურობით ჩაუარა ჩამწკრივებულ რიგებს მისალმებით. შემდეგ მხურვალე სიტყვით მიმართა ლეგიონს, რომელშიდაც აღუთქვა, რომ შეფი ყოველივე ღონეს იღონებდა მტკიცე კავშირის დასაჭერად საშეფო ნაწილთან და იღოზიერდა „მას მატერიალურ და ზნეობრივ დახმარებას.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ლეგიონის უფროსი.

მისი ლაპარაკის დროს ცალი თვალით ყველა შეფის ავტომობილისკენ გაიცქირებოდნენ და მოუთმენლათ ელოდნენ სიტყვის გათავებას. მან სიტყვაზე უფრო ყველას ის ინტერეს ეპდა, თუ რა საჩუქარი იფარებოდა იმ ბოხჩებში, რომლებიც ეწყო ავტომობილში.

—„საჩუქარი ეხლა გადავსცეთ, თუ შემდეგ?“—გადაუჩურჩულა „საშეფო კომისიის ერთმა წევრმა ლეგიონის პოლიტხელმძღვანელს.

—„არა, რა გეჩქარებათ, ჯერ დავთვალიერთ ყაზარმები, ნახეთ, როგორ სცხოვრობენ ჩვენი წითელარმიელები“.

გათავდა ყაზარმების დათვალიერებაც და დადგა ყველასთვის სანატრელი დრო საჩუქრების დარიგებისა.

ავტომობილიდან ბოხჩები თვით წითელარმიელებმა გადმოიღეს ერთი თვალის დახამხამებაში.

შეფ-კომისიის ხელმძღვანელმა ჩაახველა, ამოიწმინდა ყელი და პირველი ლაპარაკით ჩახლეჩილი ხმით მიმართა დამსწრეთ:

—„ამხანაგებო წითელარმიელებო! თქვენმა საშეფო დაწესებულების თანამშრომლებმა მომანდს გადმოგაცეთ თქვენს წვლილი საჩუქრათ. ყველა ძათგანი გულმოდგინეთ აკოფილ ნ მილი თვეების განავლობაში ნახარ გაზეთებს, რათა ამ დღეს გადმოეცეთ თქვენთვის თქვენი სამკითხველოების შესავსებათ. თქვენზეა ეხლა დამოკიდებული, თუ როგორი სარგებლობით გამოიყენეთ მას“...

ყველა დანარჩენ შეფებისთვის მიმინდვია იმის გაოცნობა, თუ რა ხასიათზე დადგებოდენ ამ სიტყვების შემდეგ ლეგიონის წითელარმიელები...

რომ ისინი ვერ იყენენ მანდამაინც კარგ გუნებაზე, ეს იმითი ეტყობოდათ, რომ არავის თავში არ მოსვლია აზრათ ხელში აიყვანათ საქანათ კომისიის წევრები, რაც აუცილებლად ხდება ხოლმე საშეფო ნაწილში შეფის სტუმრობის დროს.

ს. თ—ია.

ქართული წითელი ჯარების 5 წლის თავი.

დღეს ქართული ჯარის ნაწილები დღესასწაულობენ 5 წლის თავს. მათთან ერთად ამ დღესასწაულს აღნიშნავს მთელი კავკასიის წითელ დროშოვანი არმია, საიდან საბჭოთა საქართველოს ჯარმელთა მიღწევები წითელი ბრიგადის აღმშენებლობის საქმეში ასევე დროს მთელი წითელი არმიის მიღწევებია. საქართველოს მშრომელებს უფლება აქვთ იამაყონ თავიანთი წითელი არმიით.

უეჭველია, საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგებ შორის, წითელი არმიის აღმშენებლობას, წარმატებისა და მიღწევების მხრივ, ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს.

თუმცა ქართული ნაწილების ზრდა და განვითარება მიმდინარობდა მშვიდობიან პირობებში საბჭოთა აღმშენებლობისა და ქვეყნის გაძლიერების მშვიდობიან გარემოებაში, მათ მუშაობას მაინც ბევრი დაბრკოლებები ელობოდა წინ. მათი გადალახვა მოუხდათ ქართული დივიზიების მუშაკებს. როგორც აღმშენებლობის ყველა სხვა დარგებში, აქაც დიდის შრომით მოუხდათ მათ „მენშევიკების მემკვიდრეობის“ დაძლევა.

სიძნელენი დაძლეულია, ქართული ნაწილები უკვე გამოკიდან დაწყებითი შედგენის, ორგანიზაციის, კადრის შერჩევის პროდასაგან და შევიდენ გაღრმავებულ სამხედრო-პოლიტიკურ სწავლების პერიოდში, მტკიცე პროგრამისა და სამსახურის ვადის საფუძველზე, სადაც ჰაეთ უკვე მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის მტკიცედ შერჩეული კადრი.

სწავლების დარგში ორივე ქართულ დივიზიებს—როგორც ძირედს, ისე ტერიტორიალურს, აქვთ საგრძნობი მიღწევები, რაც უნდა წარმოადგენდეს გამოსავალ მდგომარეობას მუშაობის წარმატებით განვითარებისთვის მომავალში.

აუცილებელი საჭიროა, რათა ქართული ჯარების, როგორც საბჭოთა სახელმწიფოებრივი სკოლისა და კულტურის ოლი საქართველოს სოფლისა და ყველა შრომელებისთვის კიდევ მეტად გაიზარდოს, განსაკუთრებით ტერიტორიალურ სისტემისა და მშრომელთა ჯარის გარეშე მომზადებასთან დაკავშირებით.

დღე, ქართულ ტერიტორიალურ ნაწილებმა გაამლიერონ თავიანთი გავლენა, თავიანთი მუშაობა საბჭოთა საქართველოს განაპირა, მიარდნილ კუთხეებში და ამ გზით

ამხ. რატნეკი

მოუმზადონ წითელ არმიას დაუშრეტელ რეზერვი სოციალისტურ სამშობლოს დაცვის საქმეში.

შეებული წითელ არმიელი „სოფლად, როგორც მოუნავე გლეხი, უნდა გახდეს მტკიცე დამცველი საბჭოთა ძალაუფლების, მისი ორგანიზატორი ადგილზე, აღმშენებელი კოოპერაციისა და სოფლის მეული კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების, საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის ყველა ღონისძიებათა აქტიური გამატარებელი ცხოვრებაში. მათი,—ამ წითელი ყაზარმის აღზრდილ, დემობილიზაციით გათავისუფლებულ წითელ არმიელისა და მეთაურის საშუალებით, საქართველოს სოფელი, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა, უნდა ეზიაროს თავისი ქვეყნის თავდაცვის საქმეს, განავთაროს სამხედრო მუშაობა კლუბებში, სამხედრო კუთხეებში და სამხედრო პროპაგანდის სხვა სახეებისა და გზების საშუალებით.

ქართულ დივიზიების მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც დღითი—დღე თანდათან აგროვებს გასული ბრძოლისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის აღმშენებლობის გამოცდილებებს არმიის არსებობის ოცი წლის განმავლობაში, წარმატებით გადასჭრის მის წინაშე მდგარ ამოცანებს.

რატნეკი.

გმირთა ხსოვნას.

ამხ. ოგბოლაძე.

ამხ. ჩუბინაშვილი.

ქართულ „წითელ ჯარმა თავის არსებობის „განმავლობაში ბევრი საუკეთესო ამხანაგი შესწირა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დაცვას კონტრ-რევოლიუციის თავდასხმისაგან.

1923 წლის თებერვალში ოზურგეთის მაზრაში თარეშობდა ყოფილ მემამულეთა ბანდა, რომლის სულის ჩამდგმელი იყო მენშევიკური პარტია. ამ ბანდის წინააღმდეგ გგზავნილ იქმნა ქართული ნაწილი, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში „მოუღო მას ბოლო და გაანთავისუფლა მშრომელი გლეხობა რბევა-აწიოკებისაგან.

ამ ბრძოლაში ამხანაგები ოგბოლაძე, სანიკიძე და ჩუბინაშვილი. ამხ. ოგბოლაძე

ამხ. სანიკიძე.

ამხ. ამხ. სანიკიძე და ჩუბინაშვილი—უპარტიო ამხანაგები—მეთაურნი, პირნათლად მუშაობდენ ქართული ჯარის რიგებში და გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე.

მათი ხსოვნა მუდმივ იქნება ყველა პატიოსან მშრომელთა გულში.

ძველი პარტიული მუშაკი იყო. მას კარგათ იცნობს თბილისის პროლეტარიატი.

5 წლის თავზე

ვაშა, დიდება ჩვენს ქართულ ლაშქარს—
მის სიამაყე, მეხუთე წელზე;
რომელიც ყველა მტრებს ცემს დღესთვიზარს,—
მკვიდრი რიგებით, იქ, ბრძოლის ველზე.

———

რკინის რიგებში შრომისა შვილნი
წითელ ხიშტებით დარტყმად ილტვიან;
და გამარჯვებით მამაცთ მზრონი,—
მძლეველ გამარჯვებას კიდევ იტყვიან.

———

სმენა, სალამი, წითელ რაინდებს—
კავკასიონის კალთებზე შობილნ;
წითელი დროშის ზე მატარებლებს,—
მუშა და გლეხის განუყრელ ძმობილნ.

ა. გიოშვილი.

ხუთი წლის თავზე.

ჩვენი წითელი არმია ზეიმობს და ხარობს დღესა,
ხუთი წელი შეუსრულდა რაც რომ ფუძე დაეშესა.
ქამსა შინა მუშა გლეხმა ოიშორა მავნე პარი,
და ქართველმა მშრომელებმა აიშორა გასაჭირი.

როს მენშევიკთ ხომალდები მისცურავდენ ევროპისკენ,
და მომავლის იმედითა თვალი ჰქონდათ პარიზისკენ;
ამ დროს ფუძე ჩაეყარა ქართელ ლაშქრის უარყვ რგებს;
და რუსეთის წითელ მებრძოლთ ამ ფუძეკენ გვერდში ვთ ძმებს.

და ეს ჩვენი არმიისა წარმოშობის არის წელი,
დღეს შესრულდა სწორედ მისი არსებობის ხუთი წელი.
ვაშა ვაშა ჩვენს არმიას, ვაშა მისთვის მებრძოლ გმირებს!
ვაშა იმათ, ვინც ასრულებს მშრომელთათვის შენაპირებს.

წ. მ. კ. ნიჟარაძე.

ვაშა წითელ არმიას.

დღეს შესრულდა ხუთი წელი, რაც დარსდა ჩვენი ჯარი,
შინაურ მტერს ლახვარი სცა და გარეულს—შიშის ზარი,
მუშა, გლეხი, გაამგრა, ჩაბარა მთა და ბარი,
თვითონ მუდამ ფხიზლათ არის, ხელთ უპყრია თოფი, ფარი.

———

ბევრი ნახა გასაჭირი, მაგრამ ბოლოს გაიხარა,
შრომის შვილი ბატონისგან დაიხსნა და დაიფარა,
უსახლკაროს გზა გაუხსნა—ხელდარს სული გაუმეარა
და სიმშვიდე მშრომელებს ამ ქვეყანას დაამყარა.

———

მაშ უსურვოდ გამარჯვება მომავალშიც წითელ ჯარსა.
მაზედ ლექებს დაამღერებს შრომის მცელი თავის ქალსა
და ეს ხმები მიეფება მთელ მსოფლიოს მთეს და ბარებს,
და ოქტომბერს მიულოცავს ყველა ქვეყნის პროლეტარებს.

წ. არმიელი შ. მურელი.

ქართული წითელიარმიის 5 წლის არსებობის თავზე.

1921 წლის მარტის თვის 21 რიცხვიდან ჩაყარა საფუძველი საქართველოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას. პირველ ხანებში ჩვენი ჯარის ნაწილები გაინცდიდენ ორგანიზაციულ პერიოდს ყოველ მხრივ და ჩამოყალიბებული იყო ერთი ქვითა დივიზია თავისი შემადგენლობით; საკომანდო სკოლა, მომარაგება და სხვ. მართალია ქართული წითელ ჯარის მუშაობა ამ ხანებში ვერ იყო საკმაოდ სიმაღლეზე დაყენებული, მაგრამ ეი მაინც მტკიცედ დადგა და მაგრდებოდა მეძლებისდაგვარად.

ხოლო ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენმა წითელმა ჯარმა გაიარა თავის განვითარების მრავალი საფეხური.

ლეს წითელი ყაზარმა არის წითელი სკოლა, საიდანაც გამოდის არა მარტო მხედრულად მომზადებული ამხანაგები, არამედ პარტ-კულტ განმანათლებელი მუშაობის ხელმძღვანელებიც.

ლეს ჩვენი წითელ არმიას მჭიდრო კავშირი აქვს საბჭოთა კავშირის მცხოვრებლებთან და მათი წითელ არმიასთან ერთად შეადგენს ერთ მთელს, რომ. აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართულ სამხედრო პოლიტიკურ სკოლამ—მოსკოვნის მაზრის № რაიონში, სადაც აღმოაჩინა ტყეში იარ ღის საწყობი.

სექტემბრის 2 რიცხვამდე სკოლა მოქმედებდა ქ. ქუთაისში და მის მიდამოებზე. მხოლოთ შემდეგ—3 რიცხვს ორი სამთო ქვეითი სკოლა გაემგზავრა ლეჩხუმის მაზრაში—ქალ. ცაგერში, სადაც რამოდენიმე სათის განმავლობაში იქნა აღდგენილი სათანადო წესი და დამყარებული მშრომელთა ბა. 8 სექტემბერს სკოლა გაემგზავრა ქვემო და ზემო სვანეთში, სადაც იგივე მუშაობანი და წესრიგი დაამყარა.

ერთი თვე ნახევრის ლაშქრობის შემდეგ, ჩვენი სკოლა სამეკრელოს გზით ბრუნდება ქ. ტფილისში. თავის წლის თავზე სკოლამ, ისევე ეზეიმა წითელი დროშას ძიღება წარწერით: „ზემო სვანეთის ხალხისაგან“.

ამ რიგათ ქართულ წითელ არმიამ დაიცვა საქართველოს მუშები, გლეხები და ყველა მშრომელი მასა მენშევიკების ულიდან.

სკოლას, მართალია ორი წლის თავი აქვს, მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში მან მთლიანათ გაამართლა თავისი დანიშნულება, როგორც ბრძოლის ველზე, ისევეთვე საბჭოთა აღმშენებლობის საქმის ფრონტზე. სკოლამ პირველათ მისცა ს.ქართველოს მშრომელ მასას საუკეთესოთ მომზადებული—პოლიტ-ხელი — კომანდირები, რომლებსაც დღეს სპასუხისმგებლო ალაგები უკავიათ ნაწილებში და წვრთნიან მუშებისა და გლეხების შვილებს პოლიტიკურათ. სკოლამ ბევრი რამე გაკეთა პარტ-კულტ განმანათლებელ საქმეში სოფლათ, მგ. დღემდის აქვს აღებული შეფობა სოფ. ცოცხნარაზე და დდი-თონეზე, დახმარება გამოიხატება სხვა და სხვა სახის მოხსენებების გაკეთებით და აგ-ეთვე ფიზიკური და ეკონომიური. სისტემატიურათ უგზავნით ჟურნალ-გაზეთებს და სხვა ლიტერატურას. გვაქვს სხვა და სხვა მუშათა ორგანიზაციებთან კავშირი, სადაც ვაწყობთ სამხედრო კუთხეებსა და სხვა.

წელს ჩვენი სკოლის ამოკანას შეადგენს მოქალაქეების ფართოთ გასამხედროების საქმე, რომლებთანაც კავშირი და შეფობა გვაქვს. ვიმედოვნებთ, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სამხედროსამეცნიერო წოს მუშაობა მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მორის გავმართლოთ მიღლი ასი პროცენტი და საამისოთ არის საჭიროებანი ბანიჯება გადადგმული.

ეი ყველავე ის, რაც გავაკეთეთ ნ წლის თავზე.

ჯ. ქუთელია.

1921 წლის 21 მარტი ქართულ წითელ ჯარის დაარსების დღეა.

დიშალა მენშევიკების ჯარი და გვარდია, დიაქსაა შეიარაღებული ძალები. ბნელ ბურუსში შთანთქა ბურჟუაზიული იდეებით გაჟღენთილი და ბოროტი თვალით შემაკერები მეშჯეთა კლასზე—ყოფილი მთავრობის ამალა, რის ნაცვლად საქართველოს გაწითლებასთან ერთად დიდრაზმა მუშადა გლეხი თოფით ხელში, ჩაუდგა საშშობლოს სადარაჯოზე დასაცავად.

ეს იყო 21 მარტი, საიდანაც იწყება საფუძველი ქართულ წითელ ჯარის დაარსების, რომელიც ყოველ—დღიურ ცხოვრებასთან ერთად ცდილობდა გაუმჯობესებას და წინსვლას, როგორც ეკონომიურათ, აგრეთვე



1-ლი არტლეკ. ლენინის კუთხე.

თვე ტეხნიკურადაც.

ეი სად იწყება ენერგიული და დაუფიქრავი მუშაობა ქართულ წითელი ჯარის ხელმძღვანელებისა. მათ უხდებოდათ ძირითადათ გადახალისება ყოველგვარი მდგომარეობისა და პირობების, რომელიც სიძნელეს წარმოადგენდა განსაკუთრებით იმ პერიოდში.

ადმინისტრაციის მიერ ვერ იყო უცვლ მოგვარებული საქმე, რომ შეესებულიყო ჯარის რიგები ახალ წესულებით. კადრი ლეგიონებისა შესებული იყო ხოლოდ ძველ მეთაურთა შემადგენლობით, რომლებიც მეტ ნაწილად წითელ ჯარის უკოდინარობის გამო იდგენ განზე და საბსახურს გულგრილათ ასრულებდენ.

მოვიყვან მაგალითისათვის ერთ ერ ილუსტრაციას თუ რა ეძლეოდა წითელ არმიელს 1921 წლის პირველ დასაწყისში:

1) პური ქვავის 1 გირვ.
2) ბრდი 2 „
3) ხაჭარი 8 მილხ.
4) სელოტკა 24 მილხ.
5) ყავა 24 „ თვეში
6) სიმინდი დაღერღილი ბუდ. 32. მ.
7) ზეთი 4 მილხ.
8) მარილი 7 მისხალი.

შემოხვევა იყო ისეთი, რომ ზემოდნიშნული სურსათი არ იყო საყოფად, რომ დაკმაყოფილებული ყოფილიყო ყველა წით. არმიელები და უფროსმადგენლობა.

ტანსაცმელი.

იყო შემოხვევა, რომ ახალწვეულ წით. არმიელებს უხდებოდათ თავისი ტანსაცმელი-ფეხსაცმელით ყოფნა ნაწილში, ოდენაც არ მოიპოვებოდა ასეთი. საქალაქო ტყავი ყველაზე საკმარისად არ იყო ფეხსაცმელების მაგივრათ. გავიდა დრო, სულ სხვა ფერი და სხვა სახე დაედო ქართულ წითელ ჯარს, ის ეხლა თანდათანობით მოლონიერდა და გამოცოცხლდა, საკმაოდ აქვს როგორც ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, აგრეთვე კვება, მოისპო დეზერტირობა და საქმე ჩადგა თავის კალაპოტში.

დღეს 5 წლის თავზე გაძლიერებულმა მუშაობამ ხელმძღვანელებისაგან შესძლო ჩამოყალიბება ქართულ წითელ ჯარის ყოველივე დარგში. ღღეს თამამათ შეგვიძლიან ვსთქვთ, რომ ბევრი რაიმე დაბრკოლებები გადალახა, ბევრი გაკეთება და უბედურობა იტანა ქართულ წითელ ჯარმა და გაუთანასწორდა მათ უფროს ძალს—რუსეთის ძლევამოსილ წითელ დროშოვან არმიის რიგებს.

გაუმარჯოს ქართულ წითელ ჯარის არსებობის 5 წლის თავს საბჭოთა საქართველოში.

ჯ. ფარეიძე.

პოლიტგანის უფროსი ამხ. მარკაროვი. დივიზიის უფროსი ამხ. ალბიაშვილი. შტაბის უფროსი ამხ. გელდეანიშვილი.



1-ლი არტლეკ. პოლიტკურ.

ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

ქართული წითელი ჯარის შექმნიდან 5 წ. თავზე.

ო, ძვირფასია ის როგორნები,—
რომ ჩაგეყარა შენ სეფუძველი;
ურჩად ეიცა ამაკი ნენა,—
და, „ძირს ბანერთ ქვეყანა ძველი!..

——

საქართველოის ბუმბერაზ ქედებს,—
ლამაზ კოხორზე ეხვია ნისლი;
ცაზე ლრუბლები ჰგავდენ შავ გედებს,—
და, ნეტარ ველებს სდიოდა სისხლი!..

——

შენ კი... მშრომელი ხალხის დარაჯაო,—
გამოანათე მშვიდობის ალით;
ამბობდი: „ჩაგიყენ ესეურს ვუფარაჯო,—
და, მჩაგრეულები ალვავთ ძალით!..“

——

შავი ზღვა რისხვით იმუქრებოდა,—
მტერი ერტყმოდა, გარს, წითელ საზღვარს;
ყველას ალერენა წამვე ჰქრებოდა,—
რა შენ ისროდი ახალ ნიღვარს!..

——

ძველ ნანგრევებზე ვაისრა მზარ ხმად,—
მუდამ საამო შენი ყივილი;
ლეგიონებით იწყენდი დარტყმად,—
და, სადაც ისტყდა ორგულთ ჩივილი!..

——

ულვდავ დროების იწყე შენება
მშრომელთ კომუნის ძვირფას ნადიმზე;
სად შენი სახის მოსჩანს შვენება,
და, ალალდ ედგმის წითლად მნათი ბზე!..

——

ჩაეჩ-ნანგალის თქმას იცავ შვენით,—
ბრძოლის ველს დაჰქრი, მღერით, გიჟრაშზე;
დაუსვენები, წითელ დროშებით,—
ხუთქრა ვარსკვლავს ჰხატავ რიგრიგზე!..

——

წითელ სამშობლოს ფშინდა სახელი,—
შენი დიდების არის სერები;
და, მეც, ყოველთვის, შენი მსახველი,—
დღესაც შენდა ვარ ანმიღერები!..

——

როს დაიბადე, ნათლობაში ყანწს,—
შენს სადღეგრძელოდ, ო, ვსწვედი მაღლა;
და, გაეზ ბედი, წინსვლად, მარად ანცს,—
რომ არ დგებოდეს ბრძოლებში დაღლა!..

——

რა დავიკარგეთ, შენთან ვარ ერთად,—
ერთხელ კიდევ ვსვამ შენს სადღეგრძელოს:
ვაშა შენს სახელს, მზეთ მოკაკლილეს,—
და, შენს დაცვის ქვეშ მყოფ საქართველოს!..

სეზმან ერთაწინდელი.

პირველი სურათები

(ნაწყვეტები ქ. წ. ჯ. შემქმნიდან)

I.

ბათომი: სამაგალი ამინდი. მარტის გარეთ დარი. თოვლქუყანი, ყინვა. ზღვა საზარლად ღელავს.

საქართველოს ყოველ კუთხიდან აქეთ ერეკება ყოფილი მთავრობა ზოგიერთ ნაწილების გადარჩენილ ხალხს; ყველა, ვისაც კი საბეთია ხელისუფლების ეშინია აქეთ, გასაქცევთ ემზადება; მთავრობა ნავთსადგურთან მდგარ მატარებელშია, გემ „მარიაზე“ გადადის. გატეცებულ სახელმწიფო ქონებით, რომლითაც სავსეა რამოდენიმე ოცეული მატარებელი, იტვირთება დიდი სოკეანო გემები. ასეთი ბრძანება საბჭოდრო მინისტრ ჭეიანაძისა, 24 საათში. ინარცვება ბოლო ქონება, ვის მიაქვს არავინ იცის, უკანასკნელი დღეებია. არავინ იცის ბათომი საქართველოსია თუ ოსმალეთის, რადგანაც ქემალისტების პატრულები დადიან ქუჩებზე და ოსმალური მაინდაღებია გაფენილი, ფორტები, ფოსტა, და სხვა მრავალი დაწესებულებები მათ უჭირავთ.

ხმები, რომ ეს ყველაფერი მოიწყო მენშევიკურმა მთავრობამ, გადარჩენილმა ქართულ ნაწილებმა არაფერი იციან. წითელი ჯარები კი ნელ-ნელა უახლოვდებიან ბათომს. დაბნეულობაა, არავინ იცის რა ჰქნას, გამოუშვეს ციხიდან დაპატიმრებული ბოლშევიკები; გამოუშვეს აგრეთვე საქართველოს სხვა და სხვა ფრონტებზე დაჭერილი ტყვე წითელ არმიელები, შეიარაღეს; რიგკომი ზესდგა, ამბ. ს. ქავთარაძის და სხვათა შემადგენლობით, დაფანტულ ქართულ ჯარებს თავს უყრიან.

და, 17—18 მარტის ღამეს ვიისმა საშინელი სროლა როგორც შიგ ბათომის ქუჩებზე, ისე ბეღლს მიდამოებში, რომელმაც სამს ღღეს გასტანა, არავინ იცის რაშია საქმე...

— რა მოხდა?

— ჩვენები უტევენ ქემალისტებს:

— რადა?

— რომ გაანთავისუფლონ ბათომი და მისი არე მარე მთოგან, რომლებმაც დაიკავეს, მენშევიკურ მთავრობის მუხანათობით..

გაისმა ხალხში ლაპარაკი.

ყველას უხარია ეს ამბავი... და, იცით რომელი ჯარები უტევენ? ისინი, რომლებიც ენ ენშევიკურ მთავრობის ბრძანებას არ ემორჩილებოდენ წითელი ჯარების წინააღმდეგ საბრძოველად, და რა ჯიგეს საქართველოში საბჭოთა ხელის უფლება დამყარდა, აქ უკვე რევკომი ზესდგა, დასცხეს დაუპატიჟებელ სტუმრებს...

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სიმაგრენები მოწინააღმდეგეს ეპირა და რიცხოვნობითაც მრავალი იყო, ქართულმა ნაწილებმა მაინც დიდის გმირობით გაანთავისუფლა მათგან, საბჭოთა საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ბათომის მიდამოები...

აქ დაეცა 82 ქართველი ჯარისკაცი და მეთაურები, რომლებიც დიდის ამბით დაიმარხენ ანჩიეის (ეხლა ვგონებ კომინტერნის?) მოედანზე, და აქ, მრავალად ბოლშევიკ ორატორების მიერ წარმოთქმულ სიტყვებში ისმოდა:

— ეი პირველნი მსხვერპლნი წითელ საქართველოისა, რომელთა გმირულ თავდადების მაგალითზე უნდა აღიგოს ძლიერი ქართული წითელი ლაშქარი...

აქედან იწყება როგორც ბათომში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში ჩვენი სამაყო დივიზიების დასაწყისი...

სამნი.

II.

გაზაფხულის დასაწყისია...

თუ ქართველი მშრომელი ახალგაზრდობა მენშევიკების დროს მაინც და მაინც სიამით არ მიდიოდა ჯარში, დეზერტირობდა, ეხლა რაც საბჭოთა წესწყობილება დამყარდა და ახალი, წითელი ჯარი იქმნება სიხარულით ცხადდებიან და ითხოვენ ჩარიცხვას...

ერთი ასეთი შესდგა თბილისში, 1-ლი ლეგიონი (ეხლანდელის სათავეა) ამბ. ი. ბერგაძის მეთაურობით, რომელიც რაც დღე გადიოდა, უფრო და უფრო ძლიერდებოდა, სამაგალითო იქმნებოდა...

და, პირველი მსხვერპლიც, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს გაიღო, ახლად შემდგარმა ქარ. წითელმა ჯარმა, ეს იყო პირველი ლეგიონი...

ყველამ იცის, რომ ბოლშევიკურმა მთავრობამ საქართველო ჩაიბარა სრულიად გაძარცული, დანგრეული, და შეუდგა ახლის შენებას, მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ ზრუნვას...

რადგანაც ქვეყანა ჯერ გასაწმენდი იყო მრავალ ეროსასურველ პირებისაგან, სამხედრო და სხვა ქონება არ იყო დაზღვეული ხიფათისაგან, საპირო იყო სიფრთხილე, დაცვა, ბრსენალის წინ ამაფეთქებელი ნივთიერებით სავსე ვაგონებს იცავდენ პირველ ლეგიონერები, რაღაც გამოურკვეველ მიზეზების გამო მოხდა ერთერთ ვაგონში აფეთქება, და სამი ამხანაგი, რომელთა გვარები საწყუბაროდ აღარ მახსოვს, დაეცა აქ, მშრომელი ხალხის საგუშაგოზე; ისინი, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ აქ დგომა, მაინც არ მოშორდენ საგუშაგოს და, დაიღუპენ გმირულად...

ამ ხუთი წლის თავზე, ჩვენ გვიხსენებთ რა ამ სამის სახელს, თავდადებას, თავს ვიხრით მათდა სპატივცემლოდ, და მოვუწოდებთ ყველა ქართველ ჯარისკაცს ნიჭაბაძონ მათ თავდადებაში...

პოლიტ-ბულტ. მუშაობა პირველ ლეგიონში.

III.

თანდათან იქმნებოდა ქართული დივიზია ძლიერი როგორც სამხედრო, ისე პოლიტ და კულტ ცოდნით...

ყაზარმის ყოფილი ეკლესია გადავაკეთედ კლუბად, დავარსებულ რამოდენიმე წრე (ლიტერატურული, დრამატიული სამხატვრო, სასიმღერო და სხვა) დაარსდა აგრეთვე სარდაფქიცო კოლეგია ჩვენი მეთაურობით; ეს ვხედავდენ ჩვენი მეთაურობით; ეს ვხედავდენ ჩვენ ლიტერატურულ და დრამატიულ წრეებს.

წრეებში დიდის ხალისით ეწყვრებოდენ როგორც წითელარმიელები, ისე მეთაურნი და პოლიტ-წამდგენლობა; მეცადინეობა სწარმოებდა თავისუფალ, განსაზღვრულ საათებში, სამხედრო და პოლიტმეცადინეობის შემდეგ...

ლიტწრეში გადიოდენ ქართული ძველი და ახალ მწერლობას, ძველ რომს, საბერძნეთს და სხვა; დრამატიული წრე უმთავრესად აქვე შედგენილ რეჟ. ინსცენიროვკებს და რეპეტიციებს სდგამდა. კვირაში

ხუთი წელი შრომის, ხუთი წელი გამარჯვების.

21 წელი 21 მარტი...
ლეს ჩაეყარა საძირკველი
ართველოს მუშურ-ღლეხურ
ერთიან ჯარს.
ბებმა, შინაურმა და გარეშე,
ენეს განგაში,
სცდილობდენ ძირი გამოეთხა-
რათ ამ დიად
საქმისთვის, არავითარ საშვა-
ლებას არ
ერიდებოდნენ.
მაგრამ,
ამაო იყო მათი ცდა.
საბჭოთა ხელისუფლების დაძა-
ხებაზე,
როგორც ერთი ალდგა საქრ-
თველოს
მშრომელი და მიაშურა
წითელ ყაზარმას
და
შეექმნა ძლიერი,
მებრძოლი,
ამაყი
საქართველოს წითელი ჯარი—
მტკიცე დარაჯი
მ ზრომელობის.

ბერვჯერ იგერმა მტერმა
მისი მახვილის სიმასხე.
ბევრი ვბრი გამოაკლდა
მის სახელოვან რიგებს
მტერთან ბრძოლაში.
და ამ ბრძოლებში
იზრდებოდა,
კაედებოდა
ნორჩი წითელი ჯარი.
განვლო ხუთმა წელმა,
მას ამაყად უჭირავს
დიადი დროშა, რომელიც
ჩაბარა საქართველოს მშრო-
მელმა ხალხმა.
ზეიმის დღეს
საქართველოს წითელი ჯარი
კიდევ ერთხელ ეტყვის
ყველა მ ზრომელს:
„ვედგრათ ვიდგები ხიშტით
ხელში
სადარაჯოზე,
მაგრამ ჩემი მკლავი
და
ბასრია ჩემი მახვილი“.

ე. ხუციშვილი.

მე-2 დივიზიის შტაბის და პოლიტიკური შემადგენლობა.

ცოტა რამ 1-ლი ლეგიონის სამხ-კორთა მუშაობიდან.

ლეგიონში სხვა დანარჩენ ორგანიზაციებთან ერთად ერთ-ერთ საგულისხმო ორგანიზაციას წარმოადგენს სამხკორთა ორგანიზაცია, რომელსაც 1924 წელში ჩაეყარა საფუძველი. თავიდანვე მოვალი დაბრკოლებები ედგებოდა მას წინ.

ჩვენს ზოგიერთ ამხანაგებს არ ქონდა ჯერ კიდევ შეგნებული თუ რას წარმოადგენდა სამხკორთა ორგანიზაცია ლეგიონში და მას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რაც თავისებურ დაღს აჩენდა სამხკორთა მუშაობას. ამის გამო ხშირად ჰქონდა ადგილი სამხკორთა დევნას, დაცინვას და სხვა.

ცხადია ასეთ დევნაში ის ვერ გაიდგამდა ფეხს, როგორც ეს ესაჭიროებოდა ჩვენს ლეგიონს და კომუნისტურ პარტიას.

მეორე დამბრკოლებელი მი-ზეზი იყო ის გარემოება, რომ 1924 წელში სწარმოებდა სამხკორების არჩევა უჯრედის ან საერთო კრების მიერ.

გარდა ამორჩეულისა სამხკორობა არავის შეეძლო.

ეს გარემოება აქუცმაცებდა სამხკორთა საქმიანობას და აცილებდა პრესას.

24 წელში ლეგიონში თუ ნახავდით ორ—სამ სამხკორს, იმასაც ამორჩეულს უჯრედის ან კრების მიერ, დანარჩენი კი არ ჩანდა და ამის გამო ლეგიონის ცხოვრებაც გაუშუქებელი რჩებოდა.

შეიოლებულ იქნა კიდევ მეორე წესი, რომელიც სულ ასამარებდა სამხკორთა აქტივობას. ეს იყო ცენზურა მათ წერილებზე.

ლეგიონში პარტიული კრება ირჩევდა ლეგიონის პასუ-ხისმგებელ სამხკორს (გარდა იმისა არავის ქონდა უფლება რაიმე დაეწერა ლეგიონის მაშტაბით) და ყველა წერილები მის ხელში უნდა გასულიყო. თუ მოეწონებოდა—გააგზავნიდა და თუ არა „სამხკორის წერილი იკარგებოდა უგზო უკულოთ.

მახსოვს, როდესაც მიუტანე ლეგიონის პ. მ. სამხკორს წერილი (ჩემი წითელ არმიელობის ყოფნის დროს), მაგრამ ეს წერილი სად დაიკარგა ვეღარ გავიგე. ეს იმიტომ, რომ მე ვწერდი ნაკოზე და ლეგ. სამხკორმა თურმე ის არ გაუშვა და დაიკავა. ამის შემდეგ დავნებე თავი წერილების წერას, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ უშუალოდ დავიჭირე კავშირი გაზ. „წითელ არმიელის“ რედაქციასთან და ფსევდონიმით ვაბარებდი წერილებს, რაც მთელ აურ-ზაურს სტენდა ნაწილში სამხკორებისადმი მტრულად განწყობილ ამხანაგებში. ასეთები კი ბევრი იყვნენ პასუხისმგებელ მომუშავეებიდანაც.

რა თქმა უნდა შემდეგ შესაფერი ყურადღება მიექცა ამ გარემოებას. ნაწილის „მესვეურებიც ყურადღებით მოეკიდნენ საქმეს. გაზ. „წითელ არმიელის“ რედაქციამ მტკიცედ მოაკიდა ხელი სამხკორთა დაცვის, მომზადების და თავის გარშემო შემოკრების საქმეს. ხშირად იწვევდა თათბირებს, გვიხსნიდეს ჩვენს მოკალეობას, ავადძლევდა ინსტრუქციებს და მოკავშირდებდა მტკიცედ ვყოფილიყავით ჩვენს სადარაჯოზე, რადგან ჩვენ ვემსახურებოდით ნაწილების გამოკცხლებისა და ფეხზე დაყენების საქმეს ყოველთვის. აქედან დაწყებული ჩვენი გაზეთის რედაქცია სისტემატიურად გვიწევს ხელმძღვანელობას.

დავალებულ ლეგიონში სამხკორთა ორგანიზაცია და თანდათანობით მომავალრიგი გარემო სამხკორები და კედლკორები. პოვილ ხანებში ორგანიზაციაში ითვლებოდა 30 სამხკორი და რამოდენიმე ათეული კედლკორები. კვირაში ერთხელ იმართებოდა სამხკორთა შრომა მეცადინეობა, რომელიც გარდა სამხკორებისა ესწრებოდენ დაინტერესებული წითელ არმიელები.

ჩვენი სამხკორთა აქტივი 1925 წელში საუკეთესო დამბარე შექმნა ჩვენი ხელმძღვანელების და კომუნისტური პარტიისათვის.

1925 წელს ოქტომბერში ჩვენი სამხკორთა წრე უშვებს უვადო შვებულებაში 20 სამხკორს, რომლებმაც ჯარში სათანადოთ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და შეუდგენ სოფლის აღორძინების და აყვავების საქმეს. ისინი გახდენ გლეხკორები, მუშკორები, სოფკორები და სხვა, რომლებიც საუკეთესო დახმარებას უწევენ სოფელში ჩვენ კომპარტიას.

1903 წელში დამადებულთა მიღების შემდეგ ლეგიონში ისევ არსდება სამხკორთა წრე, რომელშიც შედის 35 წევრი, 51 კედლკორი და 11 სარკოლეგიო. წრე სისტემატიურად მეცადინეობს და იკრებს თავის გარშემო სამხკორებს. წრეს ამორჩეული ყავს 5 კაცისგან შემდგარი სამხკორთა ბიურო, რომელიც ბიურო კოლექტივთან ერთად ხელმძღვანელობს სამხკორთა მუშაობას. გარდა ამისა ჩვენი სამხკორები კავშირს იჭერენ უკადო შვებულებაში წასულ ძველ სამხკორებთან.

ჩვენი სამხკორები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კედლის გაზეთების გამოცემაში და სხვ. გაზეთ „წითელ არმიელის“ რედაქციასთან კავშირი ამ ბოლო დროს მოიტანა ასეთი ეფექტი, რომ ბევრ ადგილებში ეს ორგანოს ინსტრუქციებს ასრულებენ ბევრ ადგილებში ეს ორგანოს ინსტრუქციებს ასრულებენ ბევრ ადგილებში ეს ორგანოს ინსტრუქციებს ასრულებენ

1-ლი ლეგ. სამხკორთა წრე.

ჩვენ მტკიცე რიგებით ვხვდებით 5 წლის თავს.

მე-3-ე ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონს არ აქვს დიდი ხნის ისტორია, მაგრამ ამ ხნის განმავლობაშიც ბევრი რამე გაეკეთა მან. ლეგიონს განსაკუთრებით მენშევიკური ავანტიურის წინააღმდეგ ბრძოლით ისახელა თავი და სავსებით გაამართლა მასზე დამყარებული იმედები.

აქ აღსანიშნავია უპარტიო უფ—შემადგენლობის თავადებითი ბრძოლა. მათ ერთხელ კიდევ დამტკიცეს ფეოდალ ერთგულება საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

დღეს ჩვენი უპარტიო უფ—შემადგენლობა უფრო გაასკეცებული ენერგიით სდგას საბჭოთა სადარაჯოზე. ლეგიონში არ გვყავს ისეთი უპარტიო მეთაური, რომელსაც შეგნებული არ ქონდეს ის დიადი მოვალეობა, რომელიც აწევს წითელ არმიას. ქართული წითელი ჯარის დაბადებიდან ეს ჩვენ ლეგიონი სწორედ ამის გამო ხვდება საკმაოდ ძლიერი. ჩვენი რიგები მტკიცეა ყოველ მხრივ. ის მზად არის ყოველ წამს და ყოველ წუთს ბრძოლისათვის, თუ ვინმე გაბედავს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მახვილს აღება. მე-3-ე ლეგიონი მაშინ დამტკიცებს თუ როგორ ეხმარება ის შრომელი ხალხის ხელისუფლებას.

გაუმარჯოს ქ. წითელ ლაშქრის ხუთი წლის იუბილეს!

გაუმარჯოს მის ბელად კომპარტიას!

სამხკორი ა. ჭკადუ.

მე-3 ლეგ. ფუფ-პოლიტშემადგენლობა.

ცხენ. ლეგიონის უფ პოლიტშემადგენლობა.

სასახელო ხუთი წელი.

დღეს საქართველოს მუშურ-გლეხური წ. არმია ზეიმობს თავის იუბილეს. მან პირნათლად შეასრულა ყველა თავისი ამოცანები, და ყოველ წუთში მედგრად სდგას ოქტომბრის რევოლიუციის სისხლით შეღებილ დროშის ქვეშ. იგი თავისი მეცრდით იცავდა პროლეტარულ საქართველოს შინაურ მტრებისაგან. ქართ. წითელმა არმიამ, ბევრს დაუკარგა ბედი საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა.

ჩვენ მუშების და გლეხების „ბოლოს ნათლად დაგვანახა წითელმა ყაზარმამ ჩვენი უწმინდესი მოვალეობა და ამ ხუთი წლის განმავლობაში გაგვაკეთა მენშევიკებისაგან მოკიწყლული ეკლიანი გზა. 5 წლის განმავლობაში ჩვენ მიგვიყვანა ამ გზით, რომელიც გვანდერძა ამხ. ლენინმა და ამ გზით ვიარეთ მომავალშიდაც! ჩვენ, საქართველოს მუშებისა და გლეხების შვილები, ვსდგეთ ფიქს, რომ ხელი-ხელ ჩაკიდებული დავიცვეთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს.

სამხკორი გოსპიტ. ავადმყოფი წ. არმ. ი. ელმეტი.

სასახელო ხუთი წელი.

ეს ბრძოლა ადვილი ეწყობოდა, როგორც ყაზარმ ს ქალაქში, ისე ცენტალურ წ.-არმ. ქალაქში (სასახლის ქუჩაზე) და თბილისის განაპირა უბნებში (ნაძალადევში, ავლაბარში და სხვა-გან); ქარხანა-ფაბრიკების მუშებთან მეცდრა ყავშიში, ვიყავით, მათთან ერთად ვაწყობდით საზეიმო საღამოებს; დამოკიდებულება საძაგლითთ იყო ერთანეთში, როგორც წითელარმიელებს და უფპოლიტშემადგენლობის შორის, ისე მუშებთან.

ამის გამო, კვირაში 2-სამ დღეს როგორც ჩვენი ლიტ და ტრამ. წრის ისე სხვა ნაწილების წითელ არმიელები დაგვყავდა ცენტრალურ კოუ-ბში სადაც მცხოვანი მწერალი ვ. ბარნოვი და სხვები კითხულობენ როგორც ძველ, ისე ახალ ქართულ და უცხოეთის ლიტერატურაზე...

ბევრი მაშინდელი ჩემი სტუდენტები მუშფაკებში იქნა გადაყვანილი, ბევრ კარგი ხელმძღვანელი დაგვა, ბევრი კარგი მსახიობი გამოვიდა და ეხლა ამ ფენებენ როგორც თბილისის თეატრებთან სცენებს, ისე პროვინციაში.

პირველად აქ იქნა ჩემს მიერ შემოღებული ქართული კედლის გაზეთები, კვირეული და თვიური ეურნალები, სადაც იწერებოდა საუკეთესო წერილები, ლექსები, მოთხრობები და შემდეგ აქედან გავრცელდა სხვა ქ. ნაწილებში...

სოფიდაქციო კოლეგიაში შედიოდენ როგორც ჩვენ ჯარიდან, ისე დრამატიულის დასიმბატეოსა, ყველა თავის დარგიდან, შეთანხმებით ითვალისწინდა ამ გზებთან და ეურნალები, რომელსაც ვცემდით სხვა და სხვა სახელწოდებით, მბატარულად დასურათებულთან, ეწერდით ხელით; ჩვენი მეგობრული წერილები, ბარეები, რომლითაც უფრო ამხანაგებს ეკარგდით, დიდს სიხარულს იწვევდა თვით მათშიც...

ყველა სიამოვნებით მუშაობდა ამ გამოკვეთებში როგორც წითელ-არმიელები, ისე უფდა პოლიტშემადგენლობა; დიდ დამბარებას გვ წეენ როგორც ლეგიონის მეთაურნი, ისე კომისრები (ბ. ელიაშვილი, ი. მიგინეიშვილი, ი. ნანაძე, ი. ბერეგაძე, გ. მ.ჩაროვი და სხვები).

აქაური ბევრი სტუდენტი, რომლებმაც აქ, ყაზარმაში დაათავეს წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა, სუკეთესო სასამსახურები და მწერლები შეიქნენ და მონაწილეობენ ამავე ხანებში ახლად ფეხადგმული გაზ. „წითელარმიელი“.

ს. ერთაწმინდელი.

ჩვენ ლეგიონის ამბავი.

ჩვენ ლეგიონს ამ ბოლო ხანებში ბევრ ადგილებში ეს ორგანოს ინსტრუქციებს ასრულებენ ბევრ ადგილებში ეს ორგანოს ინსტრუქციებს ასრულებენ

ჩვენ ლეგიონის ამბავი.

ჩვენ ლეგიონს ამ ბოლო ხანებში ბევრ ადგილებში ეს ორგანოს ინსტრუქციებს ასრულებენ

ხუთი წლიწადი და პარტიული მუშაობა.

დღეს, 21 მარტს შესრულდა ხუთი წელი, რაც დაარსდა ქართული წითელი ლაშქარი.

ამ სათვის აღელვებული საქართველო მოკლეთ გადავალოთ თვალი ხუთი წლის განმავლობაში პირველი ქართულ ნსრული ლენინ დივიზიის ნაწილებში, პარტმუშაობის ისტორიის, მის პერსპექტივებს და ამ დარგში ჩვენს მიღწევებს.

სანამ ჩვენ შეუდგებოდეთ, დივიზიის ნაწილების თანამედროვე პარტორგანიზაციების დახასიათებას, მანამდე საჭიროა დავახასიათოთ, თუ როგორ პირობებში უხდებოდა წასულ-ში ნაწილების პარტორგანიზაციებს პარტიული მუშაობის ცხოვრებაში გატარება.

დღიდან საქართველოს წითელ ლაშქრის დაარსებისა, ქართულ ლაშქრის ნაწილებში არსებობდა პარტ-ორგანიზაციები, რაც გამოიხატებოდა მხოლოდ ერთ უჯრედში, ე. ი. ნაწილში (ლეგიონში) არსებობდა ეხლოთ ერთი უჯრედი, რომლის გარშემო ერთიანდებოდა ლეგიონის პარტიული ნაწილი შემადგენლობა. იმ დროს არ იყო კარგი აღებული დაწყებითი უჯრედის ათასეულს და ასეულის მაშტაბით დაარსებისა, რაც ძლიერ ხელს უშლიდა პარტორგანიზაციის ნაყოფიერ და გეგმიურ მუშაობას უპარტიოთა შორის. აგრეთვე ათასეულის და ასეულის მაშტაბით უჯრედების დაარსებას ხელს უშლიდა, პარტმუშაობისათვის სათანადო ხელმძღვანელების სიმცირე და სხვა.

ასეთ პირობებში, პარტორგანიზაციებს არ შეეძლოთ სათანადო ხელმძღვანელობა უპარტიოთა შორის ეკულტ-პოლიტმუშაობის საქმეში ე. ი. პარტ-ორგანიზაციის მუშაობა გამოიხატებოდა, მხოლოდ პარტ-კრებების მოწვევაში და მასში პარტხასიათის დღის წესრიგის გარჩევაში და სხვა.

1921 წლის დამლევს და 1922 წ. დასაწყის ნაწილებში (ლეგიონებში) არსდება პარტ-ბიუროები 5 წევრიდან და სამი კანდიდატისაგან შემდგარი, (არჩეული ნაწილის საერთო პარტ-კრების მიერ) რომელიც ხელმძღვანელობს ნაწილს პარტ-პოლიტ და კულტ მუშაობის საქმეს. რის შემდეგ ნაწილებში უჯრედები არსდება ათასეულის მაშტაბით.

ამასთან ერთად პარტ-ორგანიზაციებმა, გადადგა სათანადო ნაბიჯი და გაფართოვა პარტ-პოლიტ და კულტ მუშაობის საქმე. მართალია პარტ-ორგანიზაციების მიერ გადადგმული იყნა სათანადო ნაბიჯები, ნაწილის პარტ-პოლიტ და კულტ-მუშაობის საქმეში, მაგრამ ის მაინც ვერ აკმაყოფილებდა ნაწილის მოთხოვნილებას ამ დარგში. ამის უმთავრეს მიზეზით უნდა ჩაითვალოს ამ დარგში პარტ-ორგანიზაციების გამოუცდელობა და სათანადო ხელმძღვანელების სინაკლე.

1922—23 წლი ბანა ჩვენი დივიზიაში, უჯრედების ათასეულის მაშტაბით დაარსებ-ჩამოყალიბებისა და ამ ხნის განმავლობაში პარტიული მუშაობა მიმდინარეობდა სათანადო ტემპით. მხოლოდ 1924 წლის დასაწყის და მერე ნახევარში გადადგმული იქნა სათანადო ნაბიჯები, დაწყებით უჯრედების ასეულის მაშტაბით ჩამოყალიბების საქმეში.

ასეულის მაშტაბით უჯრედების ჩამოყალიბების საქმეს, ხელი შეეწყო, პარტმუშაობისათვის მომზადებული ამხანაგების საკმაო რიცხვმა.

დაწყებითი უჯრედის სათავეში ჩაუდგნენ უფრო მეტი მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები განსაკუთრებით პარტ-მუშაობის დარგში.

უჯრედების ასეულის მაშტაბით ჩამოყალიბებასთან ერთად (იმ დროს უჯრედები ასეულის მაშტაბით ჩამოყალიბებული იყო დაახლოებით 40-45 პროც.) გაიზარდა ავტორიტეტი პარტ-ორგანიზაციებისა უპარტიოთა შორის და უფრო გაფართოვებული იქნა პარტ-პოლიტ და კულტ-მუშაობის საქმე. მასთან ერთად პარტ-ორგანიზაციამ მიიზიდა მნიშვნელოვანი რიცხვი პარტიაში, სადაც საგრძნობლად გაიზარდა პარტიის რიგები.

განსაკუთრებით პირველ ქართულ მსროლელ დივიზიას ერთად მიღწევები აქვს ყოველივე დარგის მუშაობაში 1925 წ. გაზაფხულიდან.

წარსულ წლის დასაწყის მთელი დივიზიის მაშტაბით დაწყებითი უჯრედები ჩამოყალიბდა ასეულების მაშტაბით (თანაბმად დივ. მე-4-ე პარტ-კონფერენციის დადგენილებისა 1924 წელი 22-27 დეკემბერი). ეს ამოცანა ამ ჟამად შესრულებულია 85 პროც. უჯრედის ასეულის მაშტაბით ჩამოყალიბებასთან ერთად, იზრდება მისი ავტორიტეტი და ნაყოფიერი მუშაობა პარტიულ და უპარტიოთა შორის, ნაწილის კეთილდღეობისათვის.

უჯრედის მუშაობა გამოიხატება შემდეგში: უჯრედის დახურულ კრებების მოწვევა და მასში პარტ-ხასიათის დღის წესრიგის გარჩევა, უწევს ყოველივე დახმარებას ასეულის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობას დისციპლინის გამტკიცების საქმეში. დებულობს აქტიური მონაწილეობას—ხელმძღვანელობს ლენკუთხეში მეცადინეობას.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობს უჯრედის წევრები სხვა და სხვა წრეების მეცადინეობაში. იწვევს უჯრედის ღია კრებას, რომელშიც მიზიდულია უპარტიო მასის 70-80 პროც.

ამ ჟამად უჯ-ედების მუშაობას ნაწილობრივათ ხელს უშლის პარტიული შემადგენლობის სიმცირე.

სინაკლე და სიმცირე იწვევს უჯრედების წევრების შემადგენლობის დატვირთვას გასაკუთრებით პარტიული მუშაობის დარგში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თუ 1921 წ. რიცხვებში დივიზიაში თუ არსებობდა ოთხი თუ ხუთი უჯრედი, აწამად საქართველოს წითელ ლაშქრის არსებობის ხუთი წლის თავზე დივიზიაში არსებობს 40 დაწყებითი უჯრედი და 4 პარტბიური, რაც უნდა ჩითვალოს მაქსიმალურ მიღწევად ჩვენი მუშაობაში ამ დარგში.

პარტიული შემადგენლობის სიმცირე გადალახული იქნებოდა მოკლე ხანში, რადგანაც მიღებული სათანადო ზომები პარტიის კანდიდატების წევრებათ გადარიცხვის საქმეში, რის შემდეგ უფრო გაფართოვებული იქნება ნაწილებში პარტ-პოლიტ და კულტ მუშაობის საქმე.

მერე დიდი მიღწევა საქართველოს წითელ ლაშქრის არსებობის წლის თავზე ჩვენი მუშაობაში არის გეგმიური მუშაობის ჩამოყალიბება. მართალია, დივიზიის ნაწილებმა გეგმიური მუშაობა (წერილობით) შემოიღეს წარსულ წლის საზაფხულოდ. ამ დარგში დივიზიას აქვს მაქსიმალური მიღწევები ე. ი. ამჟამად მთელი დივიზიის მაშტაბით მიმდინარეობს გეგმიური მუშაობა. ამ საქმეში ჩვენი მიღწევა ოდრის მთელ 100 პროც. მხოლოდ საჭიროა მომავალ ჩვენ მუშაობაში უყურადღების მიქცევა მისი ხარისხიანობის გაუჯობესების საქმეში და მისი სიბოლოვოთ გახმატკეცება და სხვა.

პირველ ხანებში გეგმიური მუშაობის დაწყებისა, ნაწილებს უჭირდებოდა გეგმიური მუშაობის შემოღება და მისი ცხოვრებაში მთელი 100 პროც. გატარება. მაგრამ ამ ჟამად ამ საქმეში არ არსებობს არავითარი დამბრკოლებელი მიზეზი. მომავალ ჩვენ მუშაობაში ე. ი. საქართველოს წითელ ლაშქრის არსებობის მეცხე წელში საჭიროა ამ საქმეში უფრო გამტკიცება და მოპოვებულ პოზიციებზე გამაგრება.

მესამე ჩვენი დიდი მიღწევათ უნდა ჩითვალოს პარტიული ბიუროების სავსებით ჩამოყალიბება და მისი სისტემატიური მუშაობა ყოველივე დარგში.

დიდი მიღწევაა სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის გამტკიცებაში რასაც განსაკუთრებული უყურადღება იქცევა 1924 წლის დასაწყისიდან. მართალია პირველ ხანებში იყო ამ ჟამადაც არის დამბრკოლებელი მიზეზები კავშირის მთელი 100 პროც. გამტკიცებისათვის.

უმთავრესად დამბრკოლებელი მიზეზები არის სამოქალაქო ორგანიზაციების მხრივ, რადგან ესენი არ დებულობენ აქტიური მონაწილეობას სამხედრო ორგანიზაციებთან კავშირის გამტკიცების საქმისათვის ამ დარგში ჩვენი დივიზიის მიღწევა გამოიხატება 65-70 პროც. ურთიერთ კავშირი გამოხატება გაერთიანებულ კრებების მოწვევაში და მასში ორთავე მხარესათვის საერთო-ბოროტოსაკითხების გარჩევაში წარმომადგენლების დასწრებაში ურთი-ერთ კრებებზე, საერთო საზეიმო დღესასწაულების ერთად ჩატარებაში და სხვ.

მომაგრებული ორგანიზაციები დახმარებას უწევენ, სამხედრო ორგანიზაციებს მატერიალურ მხრივ ლენკუთხის მოწყობის საქმეში. აგრეთვე ზოგიერთი სამხედრო უჯრედმა გაუხსნეს სამხედრო კუთხე საბოქალაქო ორგანიზაციებს მათი სამხედრო მომზადების მიზნით. ზოგიერთი სამხედრო უჯრედები აწარმოებენ სამხედრო მეცადინეობას სამოქალაქო უჯრედებთან. ეს მუშაობდა ამ ჟამათიც მიმდინარეობს. სამხედრო ორგანიზაციები ძლიერ დაინტერესებული არიან სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის მთელი 100 პროც. შესრულებისათვის, მხოლოდ ეს ამოცანა სამხედრო პარტ-ორგანიზაციების მიერ შესრულებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო ორგანიზაციები წავლენ შეხვედრაზე სამხედრო პარტ-ორგანიზაციების მიმართ.

თუ ავიღეთ საშეფო სოფელს, აქ არა გვაქვს მაინც და მაინც დიდი მიღწევა, მაგრამ მომავალში სამხედრო პარტ ორგანიზაციების ყურადღება მიქცეული იქნება საშეფო სოფლთა კავშირის გამტკიცებისათვის. ჩვენი კავშირი საშეფო სოფლთან გამოხატება ოთ-დგში: ეკონომ გზეთების გაბარება სოფლისათვის, წარმოდგენების დადგმა, გაერთიანებული კრებები და სხვ.

აგრეთვე ზოგიერთი სამხედრო პარტიულ უჯრედებმა მოწყვეს სამხედრო კუთხეები საშეფო სოფლთან და აწარმოებენ სამხედრო მეცადინეობას. კიდევ ვიმეორებ სამხედრო პარტ-ორგანიზაციების მთავარი ყურადღება მიქცეული იქნება სოფლთან კავშირის გამტკიცებისათვის ჩვენს მომავალ მუშაობაში.

დივიზიის თანამედროვე პარტიული შემადგენლობა: წევრები და კანდიდატები ოდრის 347, მათში წევრები 170, კანდიდატები 177. რაც ოდრის დივიზიის მთელი შემადგენლობის 6,94 პროც. მათში მუშები 64, გლეხები 236, მოსამსახურეები 47.

შემოადინშნული პარტიული შემადგენლობა გაერთიანებულია 40 დაწყებით უჯრედებში და არსებობს 4 პარტიული ბიურო.

საქართველოს წითელ ლაშქრის არსებობამ 5 წლის თავზე, პირველ ქართულ მსროლელ დივიზიის პარტ-ორგანიზაცია მტკიცეა და ჯანსაღი. ამ 5 წლის განმავლობაში პარტ-ორგანიზაციებს ძლიერ კრიტიკული პირობებში უხდებოდათ მუშაობა საქართველოს წითელ ლაშქრის მშენებლობის საქმეში. ვამბობ რომ საქართველოს წითელ ლაშქრის მშენებლობის კრიტიკული მომენტები უკვე გადალახულია. ისე როგორც დღემდის, მომავალში დივიზიის პარტიული ორგანიზაციები, უფრო მეტი რევოლიუციურ სულით და რევოლიუციონურ ენტუზიაზმით, საქართველოს წითელ არმიის მომავალი აღმშენებლობაში, მიიღებს აქტიურ მონაწილეობას და ივლის ლენინის გზით კომუნიზმისკენ.

ჭაავა.

ჩვენი სტუმრები.

ცხენ. ლეგიონი.

14 მარტს ჩვენს ლეგიონს ეწვია 1-ლი ქართ. ქვეითი ლეგიონი და მე 6 რუსული ცხენოსანი ლეგიონის ნაწილის ამხანაგების მოსვლამ დიდი სიხარული გამოიწვია წითელ არმიელებში. სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ ლეგიონის ცხოვრებას. გაიმართა მიტინგი, რომელზედაც ძრავალი ამხანაგი გამოვიდნენ მისასალმებელი სიტყვებით. ჩვენი ყაზარმების მოწყობილობამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა სტუმრებზე.

გამომშვიდობებისას გაიმართა ორკესტრზე ცეკვა-თამაში. იცეკვეს, როგორც პირველი ლეგიონიდან ისე რუსულ ნაწილიდან, რის შემდეგ ბრძანდა დაგვიელდენ.

სამხ. ორი პ. ნადარეიშვილი.

ენერგიული მუშაკი.

გურჯაანის წერტი.

აღნიშნულ წერტზე მდგომ ასეულს ყავს მეტად ენერგიული უმცროსი მეთაური—ზემდგომ ამხ. აბირიძე. ამხანაგი მთელ თავის ენერგიას ახმარს წითელ არმიელების განვითარებისა და სანიმ დრო მომზადების საქმეს. ამას გარდა ამხანაგი ძლიერ დაუახლოვდა სოფლის გლეხობას, სამოქალაქო ორგანიზაციებს და ცდილობს ჩაბას ისინი სერთო გასამხედროებისათვის წარმოებულ მუშაობაში. ადგილობრივ ახალგაზრდობიდან თავს ყარის აქტიურ ამხანაგებს და აწყობს წარმოდგენებს. 1925 წ. 5 დეკემბრიდან 1926 წ. 5 მარტამდე ჩაბარებული იქნა მის მიერ წევრობლებთან ერთად შვიდი რევოლიუციონური წარმოდგენა.

ოცეულის მეთაური შ. ჩიქოვანი.

მე-3 შეკრებამ მოლოდინს გადაჭარბა.

მე 5 ლეგიონი.

არაჩვეულებრივი ადფოთოვანებით ჩატარდა ლეგიონში ცვლა ალაგებულთა მე-3-ე შეკრება. გამოცხადდენ მოლიანად ყველა ცვლაებადელები. პირველ დღეს გავიმეორეთ სამხედრო წესდება. ჩატარებული იქნა პოლიტსაუბრები თებერვლის რევოლიუციის შესახებ. მეორე დღეს ყველა ასეულები დიდ საუბარაობაში იყვენ. გამოკვეცხადეს, რომ გაკვიყანდენ სროლის სწორმოკლდ. დილითვე მწყობრად გავეშურეთ სროლის მოედანისაკენ; მოვახდინეთ ორი ვარჯიში: 1-ლი ხუთი ვაზნით და მეორე კი სამით. სროლა წარმატებით ჩატარდა. აქვე ჩატარებული იქნა პოლიტსაათი და სანწყობრო მეცადინეობა.

საღამოზე კი ისევ მხიარულად გავეშურეთ ჩვენი ყაზარმებისაკენ.

ასე დასრულდა მე-3 შეკრება. მე 4 შეკრებისათვის კიდევ უფრო დიდი სამზადისი სწარმოებს ლეგიონში.

სამხკორი ალგიჯო.

დეზერტირის გასამართლება.

მე-3 ლეგიონი.

ლეგიონის მესამე ასეულში მოწყვეს დეზერტირის გასამართლება, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ წითელ არმიელებზე. არჩეული იქნა სასამართლო, ბრალმდებლები და დამცველები.

ბრალდებულის როლში იყო ერთი წითელ არმიელი.

სასამართლომ გადავალენ ბრალდებულის ვინაობა. ის იყო ძველი მამასახლისის შვილი. კულაკი, ოთხი კლასის განათლებით. ყოველ თვის გაურბოდა სანხედრო სამსახურს. წითელ ჯარში გამოყვანილმა იდეზერტირა.

კამათი ბრალმდებლებსა და დამცველებს შორის დიდხანს გაგრძელდა. გასამართლებაში წითელ არმიელებმაც (დამსწრეთაგან) მიიღეს მონაწილეობა.

გასამართლებამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე.

კარგი იქნება ხშირად მოეწყობოდეს ასეთები.

სამხკორი ბროლიქეთელი.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე 2-რე ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატ ამხ. იოსებ პოლკარპეძეს ბახტაძეს, რომელიც თხოულობს საკავშირო კომპარტიის წევრად დამტკიცებას.

აღნიშნული კომუჯრედი სთხოვს ყველა იმ ამხანაგებს, რომლებმაც რაიმე უარყოფითი იციან ამხ. ბახტაძის შესახებ აცნობონ მას (კომუჯრედს) ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერად.

კომუჯრედის პ. მ. მდივანი ახალაშვილი.

ნ. დ. ს. კ. ამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.